

შპს „მასტერ ტრეიდი“

მმართველობითი ანგარიშგება

31 დეკემბერი 2017

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის	3
დამოუკიდებელ აუდიტორთა წერილი.....	4
საქმიანობის მიმოხილვა	6
მისია	6
კომპანიის განვითარების გეგმები.....	8
კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა.....	8
ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ.....	10
კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ	10
საკრედიტო რისკი.....	10
ლიკვიდურობის რისკი.....	11
საბაზრო რისკი	11
სავალუტო რისკი	11
საპროცენტო განაკვეთის რისკი	12
საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია.....	12
ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად	12

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს მასტერ ტრეიდი“-ს (შემდგომში - „კომპანია“) მმართველობის ანგარიშგებასთან მიმართებაში კომპანიის ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.

მმართველობის ანგარიშგება, მომზადებული 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2018 წლის 19 ოქტომბერს.

დირექტორი


ფინანსური ჯგუფის მენეჯერი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის


ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს მასტერ ტრეიდი“-ს (შემდგომში - „კომპანია“) მმართველობის ანგარიშგებასთან მიმართებაში კომპანიის ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.

მმართველობის ანგარიშგება, მომზადებული 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2018 წლის 19 ოქტომბერს.


დირექტორი




ფინანსური ჯგუფის მენეჯერი



RSM Georgia

85, Z.Paliashvili str.
Tbilisi 0162, Georgia

T +995 (32) 255 88 99

F +995 (32) 255 88 99

www.rsm.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა წერილი შპს “მასტერ თრეიდი“-ს მფლობელებსა და მენეჯმენტს

ბატონებო,

თქვენი 2018 წლის 19 ოქტომბრით დათარიღებული მმართველობის ანგარიშგების, საპასუხოდ:

გაცნობებთ, რომ ჩვენ წავიკითხეთ თანდართული დოკუმენტი და მივიჩნიეთ რომ:

1. კომპანიამ, აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების შემდგომ, მოამზადა მმართველობის ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.
2. ჩვენ მიერ ჩატარებული პროცედურების შედეგად, არ შეგვიძინებია რაიმე არსებითი შეუსაბამოები რაც მიგვანიშნებდა, რომ მმართველობის ანგარიშგება არ არის მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფუძვლების მიხედვით.

ზემოთ აღნიშნული 1-ლი და მე-2 პუნქტის წაკითხვა უნდა მოხდეს ქვემოთ მოცემულ აბზაცებთან, რომელიც მიჯნავს ხელმძღვანელობისა და აუდიტორის პასუხისმგებლობებს, ერთად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე, საჯარო დაინტერესების პირები, ასევე პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ თავიანთ აუდიტორს და აუდიტორი შეამოწმებს ანგარიშგება მოიცავს თუ არა აღნიშნული კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტითა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ინფორმაციებს.

ზემოთ აღნიშნული ნორმატიული ნორმების შესაბამისად ხელმძღვანელობა ამზადებს მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- კომპანიის განვითარების გეგმებს;
- კომპანიის მიერ წარმოებული კვლევების მიმოხილვას;
- ინფორმაციას კომპანიის ფილიალების შესახებ;
- კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვას და იმისონფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ;
- საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაციას
- ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.
- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონთან შესაბამისობის სხვა საკითხებს (იმ შემთხვევაში თუ რელევანტურია კომპანიისთვის).

აუდიტორის პასუხიმგებლობა

ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე ტიპის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით. ჩვენი, როგორც აუდიტორების, პასუხისმგებლობა განსაზღვრულია მხოლოდ იმით, რომ გავცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და შევაფასოთ:


- რამდენად არსებითად თანმიმდევრულია სხვა ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებასთან და;
- რამდენად შეიცავს ყველა იმ ინფორმაციას, რაც დადგენილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით.

ჩვენ, 2018 წლის 13 სექტემბერს გამოვუშვით დასკვნა კომპანიის 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ და ამ წერილის წაკითხვა უნდა მოხდეს აღნიშნულ დასკვნასთან ერთად.

22 ოქტომბერი 2018 წელი

არესემ საქართველო

მმართველი პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

RSM Georgia




საქმიანობის მიმოხილვა

შპს „მასტერ ტრეიდი“ (ს.ნ. 205217941) (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2007 წლის აგვისტოში.

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, გამრეკელის ქ.№19

პარტნიორები - სტანისლავ ჰოვაკინიანი (ARM AK 0385021) – 50%; ჯონი ქოჩიაშვილი (პ.ნ. 01019029102) – 33.3%; მარინე ნინოშვილი (პ.ნ. 01027020212) – 16.7%.

დირექტორი - ირაკლი მაშავა (პ.ნ. 01011030205)

სავაჭრო სახელი - „მასტერ ტრეიდი“

მისია

შპს „მასტერ ტრეიდი“ არის საქართველოს მასშტაბით ლიდერ კომპანიათა შორის, რომლის ძირითად საქმიანობას 2007 წლიდან წარმოადგენს შოკოლადის ნაწარმისა და ცხოველების საკვები პროდუქტების იმპორტი და დისტრიბუცია საქართველოში.

კომპანიის **მისიაა** შესთავაზოს მომხმარებელს მსოფლიო ბრენდების ფართო ასორტიმენტი და უზრუნველყოს პროდუქციის დროული მიწოდება სავაჭრო წერტილებში. ჩვენი მიზანია ყოველთვის გადავართოვით კლიენტების აქტიური ბაზა.

კომპანიის **სტრატეგიაა** შესთავაზოს მომხმარებელს მუდმივად ახალი პროდუქტი და სარფიანი შეთავაზებები.

კომპანიის ერთ-ერთ უმთავრეს უპირატესობას წარმოადგენს პროფესიონალების გუნდი, რომელიც დაკომპლექტებულია გამოცდილი, საქმისადმი ერთგული და მონდომებული სპეციალისტებით, რომლებიც ორიენტირებულნი არიან ეფექტურ მუშაობაზე და გაყიდვების მუდმივ ზრდაზე.

შპს „მასტერ ტრეიდი“ წარმოადგენს მსოფლიოში ერთ-ერთი ლიდერი კორპორაციის „Mars“-ის ოფიციალურ პარტნიორს საქართველოში. „Mars“ აერთიანებს ისეთ ცნობილ ბრენდებს როგორებიცაა:



კომპანიაში მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება, რომელიც შედგება პარტნიორთა ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლებისაგან.

პარტიორთა კრების მიზანია - კომპანიის საქმიანობის შესაბამისობის უზღუნველყოფა მის მიზნებთან და სტრატეგიასთან. განსახილველ საკითხებს წარმოადგენს:

- ✓ სამეურნეო საქმიანობის დაწყება და შეწყვეტა;
- ✓ სამეურნეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა;
- ✓ უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;
- ✓ ინვესტიციების განხორციელება;
- ✓ სესხების და კრედიტების აღება;
- ✓ ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია;
- ✓ წლიური შედეგების დამტკიცება და შედეგების გამოყენება;
- ✓ დირექტორების დანიშვნა და გმოწვევა, მათთან ხელშეკრულების დადება და შეწყვეტა.

კომპანიის საფინანსო-სამეურნეო და ადმინისტრაციული ხელმძღვანელია **დირექტორი**, რომლის მთავარ ამოცანებს წარმოადგენს:

- ✓ ტოპ მენეჯმენტის წევრებს შორის შეთანხმებული და მკაფიო სტრატეგიის არსებობა;
- ✓ კომპანიის ოპერატიული მართვა;
- ✓ ბიზნეს პროცესების გამართული, უწყვეტი მიმდინარეობა;
- ✓ სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესაბამისი წლის სამოქმედო გეგმების არსებობა განყოფილებების დონეზე და მათი შესრულება.

ზემოაღნიშნული სტრატეგიული ამოცანების მისაღწევად **დირექტორი**:

- ✓ განაგებს საზოგადოების ქონებას (ფინანსური სახსრების ჩათვლით);
- ✓ აწარმოებს ყველა სახის გარიგებას და სხვა იურიდიულ აქტებს, გამოსცემს მინდობილობებს, ხსნის ბანკებში კომპანიის საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებს;
- ✓ მოქმედებს კომპანიის სახელით, წარმოადგენს მის ინტერესებს მესამე პირებთან;
- ✓ განიხილავს შტატების დამატების საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას კადრების დანიშვნისა და გათავისუფლების თაობაზე;
- ✓ სტრატეგიიდან გამომდინარე, განყოფილებების დონეზე განიხილავს სამოქმედო გეგმას;
- ✓ შეიმუშავებს ბიზნეს პროცესებს ან/და ცვლილებები შეაქვს მათში;
- ✓ განიხილავს მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მდგომარეობას;
- ✓ განიხილავს მიმდინარე პრობლემურ საკითხებს, იღებს გადაწყვეტილებას და ანხორციელებს მონიტორინგს მათ აღსრულებაზე;
- ✓ ანხორციელებს ფინანსური შედეგების ანალიზს და შესრულებული სამუშაოების შედეგების შეფასებას;
- ✓ ახორციელებს სხვა საჭირო ქმედებებს საზოგადოების მიზნების მისაღწევად.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მაკონტროლებელია:

- საგადასახადო ორგანო;
- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური;
- სურსათის ეროვნული სააგენტო, რომელიც ახორციელებს სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში არსებული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისობის დადგენას.

კომპანია სრულად ასრულებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და ბიზნეს ოპერატორის მოთხოვნებს; ასევე მკაცრად კონტროლდება პროდუქციის ხარისხი და ვარგისიანობის ვადები, ქართული ეტიკეტირება და ა.შ.

კომპანიის მთავარ პრიორიტეტს ასევე წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნების ზედმიწევნით დაცვა.

კომპანიის განვითარების გეგმები

კომპანია იმყოფება მუდმივი განვითარების პროცესში, რაც განპირობებულია ბაზარზე არსებული დიდი კონკურენციით. დღესდღეობით კომპანიას გააჩნია საკუთარი ნიშა და კონკრეტულ სეგმენტზეა ორიენტირებული, სამომავლოდ იგეგმება კომპანიის პოზიციების კიდევ უფრო მეტად გამყარება და გაფართოება. აღნიშნულის მისაღწევად, კომპანიის ხელმძღვანელობა გეგმავს:

- ასორტიმენტის განვითარებას - ახალი პროდუქტების შერჩევა, დანერგვა და სწორი ფასდადება;
- ხარისხიანი მომსახურების უზრუნველყოფას - ოპერაციების შეუფერხებელი წარმოება, მომსახურების ხარისხის კონტროლი და განვითარება;
- გაყიდვების სტიმულირებას - ბრენდის განვითარება; სავაჭრო ქსელის განვითარება; სხვადასხვა მარკეტინგული აქტივობები.

კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა

კომპანია ყოველწლიურად აწარმოებს კვლევებს და იძიებს ინფორმაციას გაყიდვებთან დაკავშირებით, რის საფუძველზეც ხდება მომხმარებლების მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილება, ეს იქნება დისტრიბუციის მომსახურების ხარისხი ამაღლება, თუ კონკრეტულ სეგმენტზე მორგებული შესაბამისი პროდუქციის დისტრიბუცია.

სხვა სახის კვლევები კომპანიას ამ ეტაპზე არ განუხორციელებია.

კომპანიის წინაშე მდგარი ამოცანები:

- კორპორატიული კლიენტების მოზიდვა და მათთან ურთიერთობის განვითარება:
 - ✓ ქსელის გაფართოვება და კლიენტების მონაცემთა ბაზების განვითარება;
 - ✓ სპეციფიკის მიხედვით ოპტიმალური შეთავაზებების მომზადება და პირდაპირი კომუნიკაცია;
 - ✓ მომხმარებლებთან უკუკავშირი;
 - ✓ არსებულ კლიენტებთან ურთიერთობის განვითარება;
 - ✓ ბრენდის ცნობადობისა და სანდოობის გაზრდა;
- მომსახურების მაღალი ხარისხი:
 - ✓ კადრების შერჩევა და უწყვეტი სწავლება;
 - ✓ მომსახურების ხარისხის კონტროლი;
 - ✓ მომსახურების სტანდარტების განსაზღვრა და დანერგვა.
- ოპერაციების შეუფერხებელი წარმოება:
 - ✓ პროდუქციის მარაგებზე მოთხოვნებისა და პროგნოზების განსაზღვრა (გაყიდვების პროგნოზირების მიხედვით);
 - ✓ ლოჯისტიკა;
 - ✓ შესყიდვების განხორციელება;
 - ✓ საწყობებში და საწყობებს შორის მარაგების ეფექტიანი მართვა.
- ასორტიმენტის განვითარება:
 - ✓ არსებული პროდუქტების გაყიდვების ანალიზი და გამოუყენებელი პოტენციალის შეფასება;
 - ✓ ფასწარმოქმნა.
- ქსელის განვითარება:
 - ✓ პოტენციური რეგიონების/რაიონების გამოყოფა და სპეციფიკის შესწავლა;
 - ✓ არსებული მაღაზიების გაყიდვების ანალიზი რეგიონების/რაიონების მიხედვით;
 - ✓ ბაზარზე გაყიდვების ანალიზი.
- ფინანსური ეფექტიანობის უზრუნველყოფა:
 - ✓ ბიუჯეტირება;
 - ✓ ფინანსური და ოპერაციული რისკების მართვა;
 - ✓ სწორი ფასწარმოქმნა;
 - ✓ გამართული ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგება.

კომპანიის უახლოესი მიზნები:

- გაყიდვების გაზრდა;
- ბიზნესის ოპტიმიზირება, გაყიდვებისა და კლიენტებთან ურთიერთობის ტრენინგები / კვალიფიკაციის ამაღლება.

ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას ქვეყნის მასშტაბით გააჩნია ფილიალები შემდეგ ქალაქებში: თელავი, გორი, ახალციხე, ქუთაისი, ზუგდიდი, ბათუმი. მათი მართვა ხორციელდება თბილისის ცენტრალური ოფისიდან. ასევე ქ.თბილისში კომპანიას გააჩნია ცენტრალური საწყობი, რომლიდანაც ძირითადად ხორციელდება სხვა ფილიალების მომარაგება.

კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- ✓ საკრედიტო რისკი;
- ✓ ლიკვიდურობის რისკი;
- ✓ საბაზრო რისკი;
- ✓ სავალუტო რისკი;
- ✓ საპროცენტო განაკვეთის რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში.

ფინანსური აქტივები, რომელთან დაკავშირებითაც კომპანიას წარმოექმნება პოტენციური საკრედიტო რისკი, წარმოდგენილია ძირითადად სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებებით, ასევე ფულადი სახსრებით და მათი ეკვივალენტებით. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების საბალანსო ღირებულება, ასევე ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გამოკლებით, წარმოადგენს მაქსიმალურ თანხას, რომელიც ექვემდებარება საკრედიტო რისკს. ზემოაღნიშნული რისკის შესამცირებლად მუდმივად მიმდინარეობს მონიტორინგი და პრევენცია სხვადასხვა საშუალებებით.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ დგას მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის წინაშე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა.

ხელმძღვანელობის პოზიციით, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს საკმარისი ლიკვიდურობა ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად.

საბაზრო რისკი

კომპანიას საქმიანობა უწევს საკმაოდ მაღალი კონკურენციის პირობებში, შესაბამისად არსებობს საბაზრო რისკიც. საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

აღნიშნულის პრევენციისთვის კომპანია მუდმივად ზრუნავს შეინარჩუნოს მაღალი ხარისხი და იყოს ორიენტირებული მომხმარებლის კმაყოფილებაზე.

სავალუტო რისკი

ვინაიდან კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს საქართველოში მარაგების იმპორტი და დისტრიბუცია, მომწოდებლებთან ანგარიშსწორება ხორციელდება უცხოურ ვალუტაში. შესაბამისად, კომპანიის წინაშე არსებულ მნიშვნელოვან რისკებს მიეკუთვნება ეროვნული ვალუტის რყევებით გამოწვეული სავალუტო რისკები.

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო.

საქართველოში ფინანსური ინსტრუმენტების განვითარებული ბაზრის არარსებობიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობას არ გააჩნია საშუალება მოახდინოს კომპანიის სავალუტო რისკის ჰეჯირება.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით).

კომპანიას გააჩნია ღია პოზიციები საპროცენტო განაკვეთებსა და სავალუტო ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, რომლებიც ექვემდებარება ბაზრის საერთო და სპეციფიური რყევების ზემოქმედებას.

საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია

კომპანიას საკუთარი აქციები არ გააჩნია.

ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად

კომპანია თავის საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობას აფინანსებს როგორც საკუთარი, ისე ფინანსური ინსტიტუტებისაგან მოზიდული სახსრებით. შესაბამისად აქვს ფინანსური რისკები ამ მიმართულებითაც. აღნიშნული რისკის მართვასთან დაკავშირებით კომპანიის პოლიტიკა არის შემდეგნაირი: სესხის საჭიროების შემთხვევაში განიხილავს იმ დროისთვის საფინანსო ბაზარზე არსებულ სიტუაციას და გადაწყვეტილებას იღებს საუკეთესო შეთავაზების სასარგებლოდ;

ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მინიმიზაციისთვის კომპანიის რეგულარულ მომხმარებლებს მენეჯმენტის გადაწყვეტილებით წლის დასაწყისში უდგინდება საკრედიტო ლიმიტები, რომელიც შეტანილია პროგრამულად და გაყიდვების პერსონალს არ აძლევს მისი გადაჭარბების საშუალებას. ამით შეძლებისდაგვარად ვზღუდავთ დებიტორული დავალიანების ზრდას;

ვადაგადაცილებული დავალიანებების ამოღების მიზნით კომპანიის მხრიდან ხდება გაფრთხილება რამდენჯერმე. რისი უგულვებელყოფის შემთხვევაში იძულებულები ვართ მივმართოთ კანონით გათვალისწინებულ სხვა საშუალებებს, მათ შორის აღსრულების ეროვნულ ბიუროს.

კომპანიაში დანერგილია შიდა კონტროლის მექანიზმები, რითიც ვანხორციელებთ გარკვეულ რისკებთან დაკავშირებულ პრევენციას და კონტროლს. კვალიფიციური კადრების შერჩევისთვის მოქმედებს სისტემა, რომელიც რამოდენიმე ეტაპადაა დაყოფილი: 1. ვაკანსიის გამოცხადება; 2. პირველადი შერჩევა CV-ს საშუალებით; 3. გასაუბრება; 4. შერჩეული

კანდიდატების აყვანა 3 თვიანი გამოსაცდელი ვადით. მხოლოდ ამ ეტაპების გავლის შემდეგ ხდება კომპანიის შტატის თანამშრომელი. არსებული პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა მუდმივად ხდება სხვადასხვა ტრენინგი/სემინარების საშუალებით. თითოეულ თანამშრომელს გაწერილი აქვს მასზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები და ანგარიშვალდებულია მის უშუალო ხელმძღვანელთან. შესაბამისად ყველა არასტანდარტული შემთხვევა თანხმდება მასთან. გარდა ამისა თანამშრომლების მოტივაციისთვის მოქმედებს საბონუსე სისტემა და სხვა სამოტივაციო საშუალებები.

შიდა კონტროლის მექანიზმები, რომელიც გამოიყენება შეცდომით გამოწვეული უზუსტობების აღმოსაჩენად, პრევენციისა და შესამცირებლად, არის შემდეგი:

1. ნაღდი ფულის მოძრაობის და სალაროს ნაშთების მინიმუმამდე დაყვანა. ასევე სალაროს ნაშთების პერიოდული გადამოწმება;
2. რეალიზაციის შემთხვევაში ფასების ცვლილების აკრძალვა საცალო ინტერფეისში და გაყიდვების მენეჯერების მომხმარებლებისთვის;
3. ფინანსური მენეჯერის მხრიდან სპეციალური რეპორტებით კონტროლი სხვადასხვა ქრილში. მაგ.: თვითღირებულებაზე დაბალი ფასით ან დაბალი მარჟით გაყიდვების შემთხვევების გადამოწმება;
4. მარაგების პერიოდული ინვენტარიზაციები;
5. დებიტორ-კრედიტორებთან მოთხოვნა-ვალდებულებების კონტროლი.

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად. კომპანიის საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა საერთო რისკის მართვის შესახებ.

წინამდებარე დოკუმენტში ასახულია ყველა ის ძირითადი მომენტი, რომელიც საშუალებას მისცემს მის მკითხველს მაქსიმალური ობიექტურობით განსაზღვროს კომპანიის საქმიანობა, როგორც ფინანსური ასევე მენეჯმენტის კუთხით.

რისკების შიდა კონტროლის და მართვის სისტემა, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან, შედგება რამდენიმე ეტაპისგან:

1. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების უტყუარი ფორმირების უზრუნველყოფის კონტროლი, რომელიც შეესაბამება შემდეგ მოთხოვნებს:

არსებობა და წარმოქმნა – აქტივები, ვალდებულებების და საკუთრების უფლებები არსებობს ანგარიშგების თარიღისთვის და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებზე ოპერაციები ასახავს მოვლენებს, რომელთაც ნამდვილად ჰქონდა ადგილი საანგარიშო პერიოდში;

სისრულე (დროულობა) – ყველა ოპერაცია და სხვა მოვლენები და გარემოებები, რომელთაც ადგილი ჰქონდა საანგარიშო პერიოდში და ექვემდებარება აღნიშნული პერიოდისთვის მიკუთვნებას, ფაქტობრივად ასახულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებში და ფინანსურ ანგარიშგებაში;

უფლებები და ვალდებულებები – კომპანია უფლებამოსილია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ აქტივებზე და პასუხისმგებელია ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშო თარიღისთვის ასახულ პასივებზე;

შეფასება და განაწილება – ყველა აქტივი, პასივი, შემოსავალი და გასავალი ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტულ შეფასებაში და ბუღალტრული აღრიცხვის მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

სიზუსტე – ყველა ოპერაცია დათვლილია, დაჯამებული და ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში სწორად - არითმეტიკულად ზუსტი ციფრებით და პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად;

წარდგენა და გახსნა – ფინანსური ანგარიშგების მუხლები აღწერილია სათანადოდ, კლასიფიცირებული და გახსნილია.

2. იმ რისკების მართვის უწყვეტი პროცესების უზრუნველყოფა, როგორიცაა მაგალითად, გამოვლენა, შეფასება და დროული რეაგირება, რაც ზემოქმედებას ახდენს ფინანსური ანგარიშგების არასარწმუნოებაზე.

3. უტყუარი მონაცემების შედარება – ხორციელდება ინფორმაციის ორ და მეტ წყაროს შორის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელოს მოთხოვნის თანახმად დოკუმენტი შეძლებისდაგვარად ლაკონურად არის წარმოდგენილი.

შპს „მასტერ ტრეიდი“-ს დირექტორი:

/ ი. მაშავა /

შპს „მასტერ ტრეიდი“-ს ფინანსური მენეჯერი:

/ ო. თულაშვილი /

არსებობა და წარმოქმნა - აქტივები, ვალდებულებების და საკუთრების უფლებები არსებობს ანგარიშგების თარიღისთვის და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებზე ოპერაციები ასახავს მოვლენებს, რომელთაც ნამდვილად ჰქონდა ადგილი საანგარიშო პერიოდში;

სისრულე (დროულობა) - ყველა ოპერაცია და სხვა მოვლენები და გარემოებები, რომელთაც ადგილი ჰქონდა საანგარიშო პერიოდში და ექვემდებარება აღნიშნული პერიოდისთვის მიკუთვნებას, ფაქტობრივად ასახულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებში და ფინანსურ ანგარიშგებაში;

უფლებები და ვალდებულებები - კომპანია უფლებამოსილია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ აქტივებზე და პასუხისმგებელია ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშო თარიღისთვის ასახულ პასივებზე;

შეფასება და განაწილება - ყველა აქტივი, პასივი, შემოსავალი და გასავალი ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტულ შეფასებაში და ბუღალტრული აღრიცხვის მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

სიზუსტე - ყველა ოპერაცია დათვლილია, დაჯამებული და ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში სწორად - არითმეტიკულად ზუსტი ციფრებით და პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად;


წარდგენა და გახსნა - ფინანსური ანგარიშგების მუხლები აღწერილია სათანადოდ, კლასიფიცირებული და გახსნილია.

2. იმ რისკების მართვის უწყვეტი პროცესების უზრუნველყოფა, როგორიცაა მაგალითად, გამოვლენა, შეფასება და დროული რეაგირება, რაც ზემოქმედებას ახდენს ფინანსური ანგარიშგების არასარწმუნოებაზე.


3. უტყუარი მონაცემების შედარება - ხორციელდება ინფორმაციის ორ და მეტ წყაროს შორის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელოს მოთხოვნის თანახმად დოკუმენტი შეძლებისდაგვარად ლაკონურად არის წარმოდგენილი.

შპს „მასტერ ტრეიდი“-ს დირექტორი:

 / ი. მაშავა /

შპს „მასტერ ტრეიდი“-ს ფინანსური მენეჯერი:

 / ო. თულაშვილი /



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მასტერ თრეიდი“

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
31 დეკემბერი 2017

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2-5

ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1	ზოგადი ინფორმაცია	10
2	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	10
3	ფული და ფულის ეკვივალენტები	25
4	მარაგები	25
5	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	26
6	ძირითადი საშუალებები	27
7	არამატერიალური აქტივები	28
8	სხვა აქტივები და წინასწარ გადახდილი ავანსები	29
9	კაპიტალი	29
10	მოგების გადასახადი	29
11	მიღებული სესხები	30
12	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	33
13	შემოსავალი	34
14	ფასდათმობა და უკან დაბრუნება	34
15	რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	34
16	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	34
17	წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი	35
18	უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან მიღებული წმინდა ზარალი	35
19	პირობითი ვალდებულებები	36
20	ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ	36
21	ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	41
22	ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლა	41
23	საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	41

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

შპს. “მასტერ თრეიდ”

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართული ლარი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს “მასტერ თრეიდის” (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2018 წლის 13 სექტემბერს.

დირექტორი	ირაკლი მაშავა	_____
ფინანსური დირექტორი	ოლღა თულაშვილი	_____
მთავარი ბუღალტერი	ირინა გავაშელიშვილი	_____

შპს. "მასტერ თრეიდ"

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართული ლარი

**ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და
დამტკიცებაზე 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს "მასტერ თრეიდის" (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევისა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვისა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2018 წლის 13 სექტემბერს.

დირექტორი

ირაკლი მაშავა

ფინანსური დირექტორი

ოლღა თულაშვილი

მთავარი ბუღალტერი

ირინა გავაშელიშვილი



შპს. „მასტერ თრეიდ“

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართული ლარი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მასტერ თრეიდი“ დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „მასტერ თრეიდის“ (ფასს-ის პირველადი დამწერგავი) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს (შემდგომში - „ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველის აბზაცში ასახული საკითხის შესაძლო ეფექტისა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

გამომდინარე იქიდან რომ, ჩვენ დავინიშნეთ შპს „მასტერ თრეიდის“ აუდიტორებად 2017 წლის 31 დეკემბრის შემდგომ პერიოდში, ვერ შევძელით დავკვირვებოდით წლის ბოლოს ჩატარებულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციას, რომლის ღირებულებამაც შეადგინა 4,004,629 ლარი (2016: 3,111,812 ლარი, 2015: 1,551,468 ლარი). ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სასაქონლო მატერიალური ფასეულობებთან დაკავშირებით. აღნიშნული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება სასაქონლო მატერიალური ფასეულობების 2017 წლის 31 დეკემბრით არსებულ ნაშთებზე მოდიფიცირებულია.

გამომდინარე იქიდან რომ, ჩვენ დავინიშნეთ შპს „მასტერ თრეიდის“ აუდიტორებად 2017 წლის 31 დეკემბრის შემდგომ პერიოდში, ვერ შევძელით დავკვირვებოდით წლის ბოლოს ჩატარებულ სალაროში არსებულ ფულადი სახსრების ინვენტარიზაციას, რომლის ღირებულებამაც შეადგინა 511,149 ლარი (2016: 373,037 ლარი, 2015: 371,401 ლარი). ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სალაროში არსებული ფულად სახსრებთან დაკავშირებით. აღნიშნული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება სალაროში არსებულ ფულად სახსრებთან მიმართებაში 2017 წლის 31 დეკემბრით არსებულ ნაშთებზე მოდიფიცირებულია.

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიაში შემავალი კომპანიებისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ბასს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, „სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების სანარმოები ვალდებულნი არიან, მმართველობის ანგარიში მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მიხედვით მმართველობით ანგარიშზე.

მენეჯმენტი პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშის მომზადებაზე, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება წარმოდგენილი აუდიტებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შემდეგ. ზემოთხსენებული კანონის მიხედვით, მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი იქნება შემდეგი ინფორმაცია:

- სუბიექტის განვითარების გეგმები;
- სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და მათი განვითარების მიმოხილვა;
- სუბიექტის ფილიალების საქმიანობა;
- სუბიექტის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ;
- საკუთარი აქციების შეძენის შესახებ მოკლე ინფორმაცია;
- ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნების და პოლიტიკა;
- საჭიროების შემთხვევაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მყოფი სხვა ინფორმაცია

ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე ტიპის მოსაზრებას მმართველობით ანგარიშთან („სხვა ინფორმაცია“) დაკავშირებით. ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან მიმართებაში ჩვენი როგორც აუდიტორების პასუხისმგებლობა განსაზღვრულია მხოლოდ იმით რომ გავცნოთ *სხვა ინფორმაციას* და შევაფასოთ რამდენად არსებითად თანმიმდევრულია *სხვა ინფორმაცია* ფინანსურ ანგარიშგებასთან, საკანონმდებლო მოთხოვნებთან, და შესაბამისია იმ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დროს მიღებულ ცოდნასთან.

სხვა გარემოებათა აბზაცი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება არის პირველი ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად („ფასს“) და ვინაიდან წინა წლების შესადარისი მონაცემები არ არის აუდიტებული, ჩვენ ჩავატარეთ ალტერნატიული პროცედურები იმაში დასარწმუნებლად, რომ საწყისი ნაშთები არ მოიცავს არსებით უზუსტობებს.

ამ აუდიტორული დასკვნის ზემოთ მოცემულ „აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით“ აბზაცსა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის“ შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მმართველობის ანგარიში უნდა დაიწეროს და წაკითხულ იქნეს წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად. მმართველობითი ანგარიში ხელმისაწვდომი იქნება ჩვენთვის აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის შემდეგ.

გამომდინარე იქიდან რომ ხელმოწერის თარიღები სხვადასხვა იქნება ამ ფინანსური ანგარიშგების და მმართველობითი ანგარიშის, და რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენებს ექნება ადგილი წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის შემდგომ - მმართველობის ანგარიშის გამოცემამდე, შედეგად მმართველობითი ანგარიში იქნება არსებითად განსხვავებული ამ ფინანსური ანგარიშგებისგან. მიუხედავად ამისა მსგავსი ტიპის მნიშვნელოვანი გარემოებები აღწერილი იქნება მმართველობის ანგარიშგების სპეციალურ აბზაცში.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს კომპანიის ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ ფინანსური ანგარიშგების შესახებ, ჩვენ ვართ პასუხისმგებელნი კომპანიის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

13 სექტემბერი 2018

არესემ საქართველო

მმართველი პარტნიორი გიორგი კვინიკაძე

უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს კომპანიის ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ ფინანსური ანგარიშგების შესახებ, ჩვენ ვართ პასუხისმგებელნი კომპანიის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

13 სექტემბერი 2018

არესემ საქართველო

მმართველი პარტნიორი გიორგი კვინიკაძე

RSM Georgia



შპს. "მასტერ თრეიდ"

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართული ლარი

**მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

	შენიშვნა	2017	2016
შემოსავალი	13	35,551,720	30,475,880
ფასდამთმობა და უკან დაბრუნება	14	(918,744)	(492,767)
წმინდა შემოსავალი		34,632,976	29,983,113
რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15	(27,273,087)	(23,861,476)
საერთო მოგება		7,359,889	6,121,637
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	16	(6,000,122)	(4,413,501)
საპროცენტო შემოსავალი	3	1,047	-
საპროცენტო ხარჯი	11	(219,116)	(136,637)
უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან მიღებული წმინდა ზარალი	18	(19,431)	275,960
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი	17	30,568	(15,779)
მოგება დაბეგვრამდე		1,152,835	1,831,680
მოგების გადასახადის ხარჯი	10	-	(384,161)
წლის მოგება/ზარალი		1,152,835	1,447,519
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		1,152,835	1,447,519

დირექტორი	ირაკლი მაშავა	_____
ფინანსური დირექტორი	ოლღა თულაშვილი	_____
მთავარი ბუღალტერი	ირინა გავაშელიშვილი	_____

შპს „მასტერ თრეიდ“

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართული ლარი

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2017	2016
შემოსავალი	13	35,551,720	30,475,880
ფასდათმობა და უკან დაბრუნება	14	(918,744)	(492,767)
წმინდა შემოსავალი		34,632,976	29,983,113
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15	(27,273,087)	(23,861,476)
საერთო მოგება		7,359,889	6,121,637
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	16	(6,000,122)	(4,413,501)
საპროცენტო შემოსავალი	3	1,047	-
საპროცენტო ხარჯი	11	(219,116)	(136,637)
უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან მიღებული წმინდა ზარალი	18	(19,431)	275,960
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი	17	30,568	(15,779)
მოგება დაბეგვრამდე		1,152,835	1,831,680
მოგების გადასახადის ხარჯი	10	-	(384,161)
წლის მოგება/ზარალი		1,152,835	1,447,519
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		1,152,835	1,447,519

დირექტორი

ირაკლი მაშავა

ფინანსური დირექტორი

ოლღა თულაშვილი

მთავარი ბუღალტერი

ირინა გავაშელიშვილი

შპს. "მასტერ თრეიდ"

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართული ლარი

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	483,662	503,105	517,672
არამატერიალური აქტივები	7	39,781	46,848	41,150
სულ გრძელვადიანი აქტივები		523,443	549,953	558,822
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	4	4,004,629	3,111,812	1,551,468
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	7,174,238	6,424,891	3,685,847
ფული და ფულის ეკვივალენტები	3	518,235	402,891	791,485
წინასწარ გადახდილი ავანსები		122,076	41,270	125,565
სხვა აქტივები	8	388,066	124,270	133,986
სულ მოკლევადიანი აქტივები		12,207,244	10,105,423	6,288,351
სულ აქტივები		12,730,687	10,655,376	6,847,173
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
მფლობელთა კაპიტალი	9	200	200	200
გაუნაწილებელი მოგება		6,940,496	5,787,660	4,561,194
სულ კაპიტალი	9	6,940,696	5,787,860	4,561,394
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	11	290,809	314,353	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		290,809	314,353	-
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	11	3,918,684	2,777,467	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	1,580,498	1,775,696	2,285,778
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		5,499,182	4,553,163	2,285,778
სულ ვალდებულებები		5,789,991	4,867,516	2,285,778
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		12,730,687	10,655,376	6,847,172

დირექტორი	ირაკლი მაშავა	_____
ფინანსური დირექტორი	ოლღა თულაშვილი	_____
მთავარი ბუღალტერი	ირინა გავაშელიშვილი	_____

შპს. "მასტერ თრეიდ"

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართული ლარი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	483,662	503,105	517,672
არამატერიალური აქტივები	7	39,781	46,848	41,150
სულ გრძელვადიანი აქტივები		523,443	549,953	558,822
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	4	4,004,629	3,111,812	1,551,468
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	7,174,238	6,424,891	3,685,847
ფული და ფულის ეკვივალენტები	3	518,235	402,891	791,485
წინასწარ გადახდილი ავანსები		122,076	41,559	125,565
სხვა აქტივები	8	388,066	124,270	133,986
სულ მოკლევადიანი აქტივები		12,207,244	10,105,423	6,288,351
სულ აქტივები		12,730,687	10,655,376	6,847,173
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
მფლობელთა კაპიტალი	9	200	200	200
გაუნაწილებელი მოგება		6,940,496	5,787,660	4,561,194
სულ კაპიტალი	9	6,940,696	5,787,860	4,561,394
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	11	290,809	314,353	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		290,809	314,353	-
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	11	3,918,684	2,777,467	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	1,580,498	1,775,696	2,285,778
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		5,499,182	4,553,163	2,285,778
სულ ვალდებულებები		5,789,991	4,867,516	2,285,778
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		12,730,687	10,655,376	6,847,172

დირექტორი

ირაკლი მაშავა

ფინანსური დირექტორი

ოლღა თულაშვილი

მთავარი ბუღალტერი

ირინა გავაშელიშვილი

შპს. “მასტერ თრეიდ”

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართული ლარი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	მფლობელთა კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (ფასს-ის დანერგვამდე)	9	200	4,561,194	4,561,394
კორექტირება		-	-	-
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		200	4,561,194	4,561,394
წლის მოგება		-	1,447,519	1,447,519
დივიდენდი		-	(221,053)	(221,053)
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9	200	5,787,660	5,787,860
წლის მოგება		-	1,152,836	1,152,836
დივიდენდი		-	-	-
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9	200	6,940,496	6,940,696

დირექტორი	ირაკლი მაშავა	_____
ფინანსური დირექტორი	ოლღა თულაშვილი	_____
მთავარი ბუღალტერი	ირინა გავაშელიშვილი	_____

შპს. "მასტერ თრეიდ"

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართული ლარი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	მფლობელთა კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (ფასს-ის დანერგვამდე)	9	200	4,561,194	4,561,394
კორექტირება		-	-	-
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		200	4,561,194	4,561,394
წლის მოგება		-	1,447,519	1,447,519
დივიდენდი		-	(221,053)	(221,053)
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9	200	5,787,660	5,787,860
წლის მოგება		-	1,152,836	1,152,836
დივიდენდი		-	-	-
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9	200	6,940,496	6,940,696

დირექტორი


ირაკლი მაშავა

ფინანსური დირექტორი

ოლღა თულაშვილი

მთავარი ბუღალტერი

ირინა გავაშელიშვილი



შპს. “მასტერ თრეიდ”

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართული ლარი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება/ზარალი:		1,152,835	1,831,680
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	6,7	178,711	196,998
უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან მიღებული წმინდა ზარალი	18	19,431	(275,960)
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული მოგება/ზარალი	6,7	(18,397)	(7,424)
საპროცენტო ხარჯი	11	219,116	136,637
საოპერაციო შედეგები კაპიტალში ცვლილებამდე			
ცვლილება მარაგებში	4	(892,817)	(1,560,344)
ცვლილება სხვა აქტივებში	8	(344,313)	93,722
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	5	(749,347)	(2,739,044)
ცვლილება მიღებულ სესხებში	11	1,044,370	2,804,276
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	12	(80,982)	128,018
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი		528,607	608,559
გადახდილი პროცენტი	11	(219,116)	(136,637)
გადახდილი მოგების გადასახადი	10	-	(384,161)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული (საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		309,491	87,761
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	6	20,191	23,473
ძირითადი საშუალებების შეძენა	6	(153,400)	(192,045)
არამატერიალური აქტივების შეძენა	7	(596)	(12,135)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი		(133,805)	(180,707)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
კაპიტალში შენატანი თანხები			
გადახდილი დივიდენდები	9	-	(262,105)
საფინანსო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		-	(262,105)
ფული და ფულის ექვივალენტები			
1 იანვრის მდგომარეობით	3	402,891	791,485
წმინდა ზრდა წლის განმავლობაში		175,687	(355,052)
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		(60,343)	(33,542)
31 დეკემბრის მდგომარეობით	3	518,235	402,891
დირექტორი	ირაკლი მაშავა		
ფინანსური დირექტორი	ოლღა თულაშვილი		
მთავარი ბუღალტერი	ირინა გავაშელიშვილი		

შპს. "მასტერ თრეიდ"

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართული ლარი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება/ზარალი:		1,152,835	1,831,680
კორექტირებები:			
ცვთა და ამორტიზაცია	6,7	178,711	196,998
უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან მიღებული წმინდა ზარალი	18	19,431	(275,960)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული მოგება/ზარალი	6,7	(18,397)	(7,424)
საპროცენტო ხარჯი	11	219,116	136,637
საოპერაციო შედეგები კაპიტალში ცვლილებამდე			
ცვლილება მარაგებში	4	(892,817)	(1,560,344)
ცვლილება სხვა აქტივებში	8	(344,313)	93,722
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	5	(749,347)	(2,739,044)
ცვლილება მიღებულ სესხებში	11	1,044,370	2,804,276
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	12	(80,982)	128,018
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი		528,607	608,559
გადახდილი პროცენტი	11	(219,116)	(136,637)
გადახდილი მოგების გადასახადი	10	-	(384,161)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული (საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		309,491	87,761
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	6	20,191	23,473
ძირითადი საშუალებების შეძენა	6	(153,400)	(192,045)
არამატერიალური აქტივების შეძენა	7	(596)	(12,135)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი		(133,805)	(180,707)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
კაპიტალში შენატანი თანხები			
გადახდილი დივიდენდები	9	-	(262,105)
საფინანსო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		-	(262,105)
ფული და ფულის ექვივალენტები			
1 იანვრის მდგომარეობით	3	402,891	791,485
წმინდა ზრდა წლის განმავლობაში		175,687	(355,052)
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		(60,343)	(33,542)
31 დეკემბრის მდგომარეობით	3	518,235	402,891

დირექტორი

ირაკლი მაშავა

ფინანსური დირექტორი

ოლღა თულაშვილი

მთავარი ბუღალტერი

ირინა გავაშელიშვილი

განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „მასტერ თრეიდი“ (შემდგომში „კომპანია“) საიდენტიფიკაციო ნომრით 205217941 დარეგისტრირდა საქართველოში 2007 წლის 9 აგვისტოს. კომპანიის იურიდიული მისამართია გამრეკელის ქ. N9, თბილისი, საქართველო. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს შოკოლადის და ცხოველთა კვების იმპორტი და დისტრიბუცია.

კომპანია საქმიანობას აწარმოებს საქართველოს როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ რეგიონებში. შპს „მასტერ თრეიდი“ არის საკონდიტრო და ცხოველთა კვების პროდუქტების მწარმოებელი კომპანია შპს "მარსის" პროდუქციის ექსკლუზიური იმპორტიორი საქართველოში.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ორგანიზაციაში დასაქმებულთა რიცხვი შეადგენდა 206 (2016:166 თანამშრომელი; 2015: 156 თანამშრომელი) თანამშრომელს.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის დამფუძნებელ პარტნიორთა შორის წილები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

მესაკუთრე	2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ჯონი ქოჩიაშვილი	33.3 %	40 %
სტანისლავ პოვაკინიანი	50 %	50 %
მარინე ნინოშვილი	16.7 %	-
გიორგი ჟღენტი	-	10 %

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასსს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნული ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პირველად მომზადდა „ფასს“-ის სტანდარტების შესაბამისად.

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის ორგანიზაციის მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგებების მოსამზადებლად პირველად მოხდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება. შესაბამისად, ორგანიზაციამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება ფასს-ის საფუძველზე, რომელიც მოქმედებს პერიოდებზე დაწყებული 2017 წლის 1 იანვრიდან და შემდგომ პერიოდში. ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადების დროს, კომპანიამ საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მოამზადა 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც არის კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის თარიღი. 18-ე განმარტებით შენიშვნაში ახსნილია 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების გადაანგარიშებაში გამოყენებული ძირითადი კორექტირებები.

განმარტებითი შენიშვნები

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად მენეჯმენტმა გამოიყენა საუკეთესო ცოდნა სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების, ფაქტებისა და გარემოებების ისევე როგორც სააღრიცხვო პოლიტიკის რათა მოემზადებინა ფასს-თან სრულად შესაბამისობაში მყოფი პირველი ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომანიის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პრინციპები და პოლიტიკა განხილულია ქვემოთ.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს (რეკლასიფიცირების კორექტირებების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია ფასს-ის თანახმად. რეკლასიფიცირების კორექტირება არის რაოდენობა, რომელიც მიმდინარე პერიოდში რეკლასიფიცირებულია მოგების ან ზარალის სახით და რომელიც მიმდინარე ან წინა პერიოდებში აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავლებში. ორგანიზაციის მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში.

ორგანიზაცია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. მენეჯმენტის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ინფორმაციის კლასიფიცირება ხდება მიმდინარე და გრძელვადიანობის საფუძველზე.

შეფასების საფუძველი

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ 2017 წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არა საბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით ან ოპციონის ფასის გამოთვლის მოდელებით, რომლებიც ასახავს ემიტენტის გარკვეულ გარემოებებს). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

განმარტებითი შენიშვნები

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით;
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1 - ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით);
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად სავალდებულოა შემდეგი ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტების გამოყენება 2017 წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური წლისთვის.

- ცვლილებები ბასს-7- ში სახელწოდებით Disclosure Initiative (გამოშვებული 2016 წლის იანვარში). ცვლილებები სტანდარტში, ეხება 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ და მომდევნო პერიოდებს, რომელიც მოითხოვს კომპანიების მიერ ინფორმაციის გამჟღავნებას ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის, იმ ვალდებულებების შესახებ, რომლებიც წარმოიშვა კომპანიაში ფინანსური აქტივობებიდან. ზემოთაღნიშნულს არ ექნება მატერიალური გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- ცვლილებები ბასს-12 გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი არარეალიზებული ზარალისთვის (გამოშვებული 2016 წლის იანვარში). ცვლილებები ეხება 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ და შემდგომ პერიოდებს, რომელიც განმარტავს, რომ გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი - დაკავშირებული სავალო ვალდებულებით გამოწვეულ არარეალიზებული ზარალთან უნდა აღირიცხოს სამართლიანი ღირებულებით, პრაქტიკაში განსხვავების დასაფიქსირებლად. სავარაუდოა, რომ ზემოთაღნიშნულს არ ექნება გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალი და შესწორებული სტანდარტები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად სავალდებულოა შემდეგი ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტების გამოყენება 2017 წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური წლისთვის.

- IAS 28-ში შესული ცვლილებები (2014-2016 პერიოდის ფასს სტანდარტების ყოველწლიური ცვლილებები, გამოცემულია 2016 წლის დეკემბერში) - ცვლილებები, რომლებიც ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან ან/და შემდგომ პერიოდებში (ნებადართულია ადრეული გამოყენება), აზუსტებს: მეკავშირე საწარმოში განხორციელებული ინვესტიციების, ასევე ინვესტიციების

განმარტებითი შენიშვნები

ერთობლივი საქმიანობაში, რომელიც განხორციელებულია ვენჩურული კაპიტალის მეორე, საერთო ფონდების, ან სხვა მსგავსი ტიპის ორგანიზაციების მიერ, უფლება აქვთ თითოეული ზემოთმოხსენებული ინვესტიცია თავდაპირველი აღიარებისას აღიაროს სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით. ცვლილებებს არ მოუხდენია გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- IAS 40-ში შესული ცვლილებები (გამოცემულია 2016 წლის დეკემბერში) - ცვლილებები, რომლებიც ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან ან/და პერიოდის შემდეგ (ნებადართულია ადრეული გამოყენება), განმარტავს, რომ საინვესტიციო ქონების კლასიფიკაცია სხვა მუხლებში, ან პირიქით სხვა მუხლებიდან საინვესტიციო ქონებაში კლასიფიკაცია მხოლოდ მაშინ უნდა განხორციელდეს (მათ შორის იმ აქტივებისა რომლებიც არის მშენებლობის და განვითარების სტადიაში) როდესაც არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ ქონების გამოყენების შინაარსის ცვლილება მოხდა. ცვლილებებს არ მოუხდენია გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- ცვლილებები ფასს-2 კლასიფიკაცია და შეფასება ნილობრივი გადახდების ტრანზაქციებზე (გამოცემული 2016 წლის ივნისში). ცვლილებები, ეხება 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ და შემდგომ პერიოდებს, რომელიც განმარტავს ვესტირების და არავესტირების ეფექტებს აქციაზე დაფუძნებული გადახდის(ადგ) ნაღდი ფულით ანგარიშსწორებაზე, (ადგ)-ს აღრიცხვისას ნეტო საგადასახადო თვისებაზე საშემოსავლო საგადასახადო ვალდებულების თვალსაზრისით და (ადგ)-ს პირობების მოდიფიკაციაზე, რომელიც უცვლის ტრანზაქციას კლასიფიკაციას ნაღდი ფულზე დაფუძნებულიდან კაპიტალზე დაფუძნებულზე. მოსალოდნელი არაა, რომ ზემოთაღნიშნულს მატერიალური ეფექტი ექნება კომპანიის ანგარიშგებაზე.
- ცვლილებები ფასს-4-ში სახელწოდებით ფასს-9 ფინანსური ინსტრუმენტების გავრცელება ფასს-4 სადაზღვევო კონტრაქტებზე (გამოშვებული 2016 წლის სექტემბერში) ცვლილებების მიხედვით კომპანიები, რომლებიც უშვებენ სადაზღვევო კონტრაქტებს, აქვთ უფლება შემოსულობა ან ზარალი აღიარონ - სხვა სრულ შემოსავალში და არა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, მერყეობა რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ფასს-9-ის გავრცობამ ფასს-4-ზე პროექტდება კომიტეტის მიერ. ასევე კომპანიებს, რომელთა აქტივობები განსაკუთრებულადაა დაკავშირებული სადაზღვევო საქმიანობასთან დროებითი გამონაკლისის სახით შეეძლება არ გადავიდნენ ფასს-9-ზე (2021 წლამდე) და ამგვარად დარჩნენ ბასს-39-ზე. კომპანიას არ გამოუშვია სადაზღვევო კონტრაქტები, შესაბამისად ცვლილებებს არ ექნება ეფექტი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- ცვლილებები ფასს 10 და ბასს 28-ში „ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების შეძენა/ გაყიდვა“ (გამოიცა 2014 წლის სექტემბერში) - ცვლილებები, ეხება ორ სტანდარტს შორის არსებულ შეუთავსებლობას და განმარტავს, რომ მოგება ან ზარალი სრულად უნდა იქნას აღიარებული, როდესაც ტრანზაქციაში ჩართულია ბიზნესი, და ნაწილობრივად, თუ მასში ჩართულია აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენს ბიზნესს. ამ ცვლილების ამოქმედების დღე თავდაპირველად იყო 2016 წლის 1 იანვარი, მაგრამ გადაიდო განუსაზღვრელი ვადით, თუმცა მისი ადრეული გამოყენება ჯერ კიდევ ნებადართულია. აღნიშნულ ცვლილებას არ ექნება გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალი სტანდარტები

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“(გამოიცა 2014 წლის ივლისში) – ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 39-ს (და ფასს 9 სტანდარტის ყველა წინა ვერსიას) 2018 წლის 1 იანვარს დაწყებულ და შემდგომ

განმარტებითი შენიშვნები

პერიოდებს. იგი შეიცავს მოთხოვნებს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციისა და შეფასებისთვის, გაუფასურების, ჰეჯირების აღრიცხვის და აღიარების შეწყვეტისათვის.

- ფასს 9 მოითხოვს, რომ ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი შეფასდეს ამორტიზირებული ან სამართლიანი ღირებულებით (მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან სხვა სრულ შემოსავლში) იმის მიხედვით, თუ რომელ ბიზნეს მოდელში ექცევა ისინი და როგორია მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.
- ფინანსური ვალდებულებებისთვის, ფასს 9-ის ყველა მნიშვნელოვანი გავლენა დაკავშირებულია იმ შემთხვევასთან, როდესაც შერჩეულია სამართლიანი ღირებულების მეთოდი: სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულების სამართლიანი ღირებულების ცვლილება, რომელიც უკავშირდებოდა აღნიშნული ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებას აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში (და არა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში), გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული ინვესს სააღრიცხვო შეუსაბამობას.
- ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის ფასს 9 უზრუნველყოფს „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ მოდელს, რომელიც დამყარებულია მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების ცნებაზე ხელშეკრულების ამოქმედებისთანავე; საკრედიტო ზარალის აღიარებამდე აღარ იქნება გაუფასურების ობიექტური მიზეზის არსებობის საჭიროება.
- ჰეჯირების აღრიცხვისთვის, ფასს 9 შეიცავს არსებით შესწორებებს, რომელთა თანახმად ფინანსურ ანგარიშგებებში უკეთ აისახება რისკის მართვის საქმიანობები, როდესაც ხდება ფინანსური და არაფინანსური რისკის ჰეჯირება.
- აღიარების შეწყვეტის დებულებები თითქმის უცვლელად არის გადმოტანილი ბასს 39-იდან.

ხელმძღვანელობის მოლოდინით, ფასს 9 გამოყენებული იქნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ეს სავალდებულო გახდება და ახალი სტანდარტის გამოყენებას სავარაუდოდ გავლენა ექნება კომპანიის ფინანსურ აქტივებთან და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით აღრიცხულ მონაცემებზე. ამ ეტაპზე კომპანია არის შეფასების პროცესში თუ რა გავლენას მოახდენს ფასს 9-ზე გადასვლა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ დასრულდება დეტალური მიმოხილვა. სტანდარტი ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან.

ფასს 15 „შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ (გამოიცა 2014 წლის მაისში) - ახალი სტანდარტი, რომელიც ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვარიდან დაწყებულ და შემდგომ პერიოდებზე, ჩაანაცვლებს ბასს 11, ბასს 18 და მათ ინტერპრეტაციებს. იგი აწესებს შემოსავლების აღიარების ერთიან და ამომწურავ სისტემას, რომელიც მუდმივად იქნება გამოყენებული სხვადასხვა ტრანზაქციებთან, ინდუსტრიებთან და საფონდო ბაზრებთან მიმართებაში ძირითადი პრინციპით (ხუთი ეტაპის მოდელზე დაყრდნობით, რომელიც იმოქმედებს მომხმარებლებთან გაფორმებულ ყველა ხელშეკრულებაზე), გაუმჯობესებული განმარტებით, და ახალი ან გაუმჯობესებული ინსტრუქციებით (მაგ: როდის ხდება შემოსავლის აღიარება, ცვალებადი ანაზღაურების აღრიცხვა, ხელშეკრულების შესრულების და მიღების ხარჯები, და სხვ.). მენეჯმენტის მოლოდინით, ფასს 15 გამოყენებული იქნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ეს სავალდებულო გახდება და აპირებენ რომ გამოიყენონ მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მიდგომის მეთოდი და შედეგებს ასახავენ 2018 წლის 1 იანვრის საწყის დაგროვილ მოგებაზე. მას შემდეგ რაც სტანდარტი შევა ძალაში 2018 წლის 1 იანვარს. მიუხედავდ იმისა რომ მენეჯმენტი ჯერ კიდევ განსაზღვრავს ფასს 15 ის გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, არ არის

განმარტებითი შენიშვნები

მიზანშეწონილი განხილულ იქნას ფინანსური დაშვებების ეფექტი სანამ მენეჯმენტი არ განახორციელებს სრულყოფილ და დეტალურ მიმოხილვას.

ფასს 16 იჯარა (გამოშვებული 2016 წლის იანვარში) ახალი სტანდარტი ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელიც შეცვლის ბასს-17 და მის განმარტებებს. მნიშვნელოვანია ის, რომ თითქმის ყველა იჯარის სახეობა, ბალანსში მოექცევა ერთი მოდელის ქვეშ (გარდა 12 თვეზე ნაკლები და დაბალ-ღირებულებიანი იჯარებისა). ეს ცვლილებები მოახდენს ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავების ელიმინირებას. თუმცა მეიჯარის აღრიცხვის მეთოდი უმეტესწილად უცვლელი დარჩება და ამ შემთხვევაში ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავება შენარჩუნებული იქნება. მენეჯმენტის აზრით ფასს 16-ს გამოიყენებს კომპანია, მას შემდეგ რაც ის გახდება სავალდებულო. თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

ფასს 17 დაზღვევის ხელშეკრულებები (გამოცემულია 2017 წლის მაისში) - სტანდარტი, რომელიც შეცვლის ფასს 4-ს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვრიდან ან/და შემდგომ პერიოდებში (ადრეული გამოყენება დაშვებულია მხოლოდ მაშინ როდესაც საწარმო იყენებს ფასს 9-ს და ფასს 15-ს) რომლის თანახმადაც, სადაზღვეო ვალდებულება განისაზღვრება მიმდინარე შესრულების ღირებულებით და წარმოადგენს შედარებით სრულ საზომ და წარმოსადგენ მიდგომას ყველა ტიპის სადაზღვეო გარიგებისთვის. გემოხსენებული მოთხოვნები შექმნილია იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას სადაზღვეო გარიგებების თანმიმდევრული, პრინციპებზე დაფუძნებული ბუღალტრული აღრიცხვა, რაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს საშუალებას მისცემს შეაფასოს ეფექტი, რომელიც აქვთ სადაზღვეო ხელშეკრულებებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, მის ფინანსურ შედეგებზე და ფულად ნაკადებზე. სტანდარტი ასევე მოითხოვს რომ იგივე პრინციპით აღირიცხოს გადაზღვევისა და დისკრეციული მონაწილეობის მახასიათებლებით გაცემული საინვესტიციო ხელშეკრულებები. გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიას არ გააჩნია როგორც გამოცემული დაზღვევის ხელშეკრულებები, ასევე გადაზღვევის ხელშეკრულებები, სტანდარტს არ აქვს მოსალოდნელი ეფექტი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლები და ხარჯები აღიარებულია დარიცხვის საფუძველზე.

საქონლის რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი აღიარებულია ,მაშინ როდესაც საქონელი გადაეცა მყიდველს საქონლის მესაკუთრეთა მნიშვნელოვანი რისკებით.

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება, მაშინ როდესაც საწარმო მყიდველს საქონელზე ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს, საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით,რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს; შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა; მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასანევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი ყველა სავალდებულების ინსტრუმენტისთვის აღირიცხება დარიცხვის მეთოდით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.მეთოდი განმარტავს,რომ ეფექტურ

განმარტებითი შენიშვნები

საპროცენტო განაკვეთში ასახულია ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს შორის წარმოქმნილი ყველა დანახარჯი, ყველა ტრანზაქციული დანახარჯი, ასევე ნებისმიერი ფასდაკლება ან დანამატი.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი მოიცავს ფინანსური აქტივის ან ვალდებულების წარმოქმნასთან, შეძენასთან ან გადაცემასთან დაკავშირებულ გადახდილ და მისაღებ თანხებს, მაგალითად გადახდისუნარიანობის, გარანტიებისა და გირაოს შეფასებას, მოლაპარაკების და დოკუმენტების დამუშავებასთან დაკავშირებულ ტრანზაქციულ დანახარჯებს.

როდესაც სესხის ან სხვა სავალო ინსტრუმენტების ამოღება საეჭვო ხდება, ჩამოიწერება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე და საპროცენტო შემოსავალი არის აღიარებული მიმდინარე ღირებულების შემცირების გათვალისწინების გარეშე ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით, რომელიც გაუფასურების ბარალის გასაზომად გამოვიყენეთ.

სხვა თანხები, როგორიცაა საკომისიო გადასახდელები და სხვა საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება დარიცხვის მეთოდით, შესრულებული სამუშაოს მიხედვით პროპორციულად.

შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავალი განისაზღვრება სამართლიანი ღირებულებით რომელშიც გათვალისწინებულია კომპანიის მიერ გაკეთებული ფასდაკლებები და ფასდათმობები, შესაბამისად შემოსავალი მცირდება შეფასებული ფასდაკლებით დაბრუნებით და სხვა მსგავსი შედავათებით რომელიც განხორციელდა პერიოდის განმავლობაში. ხარჯები აღიარდება იმ პერიოდში რომელ პერიოდში მოხდა შესაბამისი შემოსავლის აღიარება.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღირიცხვა უნდა განხორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ბარალის დაქვითვით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

მანქანა დანადგარები	5 წელი;
ოფისის აღჭურვილობა	2 - 6 წელი;
ავტო და სხვა ინვენტარი	2 - 10 წელი;
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი;
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	7 წელი;
სხვა ძირითადი საშუალებები	2 - 5 წელი;

განმარტებითი შენიშვნები

აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეულ საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან გამოყენებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარება ხორციელდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, მათ შორის საიმპორტო ბაჟს და უკანდაუბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო დისკონტების და ფასდაკლებების დაქვითვის შემდეგ და აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებისთვის დარიცხული ამორტიზაციისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. ამორტიზაციის გამოთვლა ხორციელდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე. ამორტიზაციის პერიოდი შეადგენს 10 წელს.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება FIFO მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საქონელი მოიცავს შოკოლადებს და ცხოველთა საკვებს, ასევე თაროებს რომლებიც გამოიყენება სპეციალური დანიშნულების მიზნებისთვის.

საიჯარო აქტივები

იჯარა კლასიფიცირდება როგორც ფინანსური იჯარა, თუ მოიჭარეს გადაეცემა მესაკუთრეობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

განმარტებითი შენიშვნები

საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, გადასახდელი საიჯარო ვალდებულებები აღიარდება, როგორც მოგება ან ზარალი წრფივი მეთოდით საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

საოპერაციო იჯარის აღებასთან დაკავშირებით მიღებული წახალისება აღირიცხება როგორც საიჯარო ხარჯის შემცირება, წრფივი მეთოდით, საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში იქმნება რეზერვი საოპერაციო იჯარის არახელსაყრელი ელემენტის მიმდინარე ღირებულების ოდენობით. აღნიშნული წარმოიშობა, როდესაც კომპანია წყვეტს შენობა-ნაგებობების გამოყენებას და ისინი ვაკანტური რჩება იჯარის დასრულებამდე ან ქვეითარით გააქირავებს მათ საიჯარო გადასახადის სანაცვლოდ, რომელიც ნაკლებია კომპანიის მიერ იჯარის ხელშეკრულების თანახმად გადასახდელ თანხაზე.

გაცემული სესხები და მოთხოვნები

კლიენტებზე გაცემული სესხები და მოთხოვნები აღირიცხება, როდესაც კომპანია გასცემს თანხას კლიენტზე არაკვოტირებული არადერივატიული დებიტორული დავალიანების შესყიდვის ან წარმოქმნის მიზნით, რომელიც გადასახდელია დადგენილ ან განსაზღვრულ ვადებში და არ აქვს დებიტორული დავალიანების გაყიდვის განზრახვა. გაცემული სესხები და მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება. გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოგება-ზარალში, როდესაც იგი წარმოიქმნება ერთი ან მეტი შემთხვევის დადგომის შედეგად (“ზარალის შემთხვევები”), რომლებიც მოხდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების კომპანიის სავარუდო მომავალი ფულადი ნაკადების ოდენობაზე და დაფარვის დროზე, და რომლის საიმედოდ შეფასებაც შესაძლებელია. თუ განსაზღვრავს, რომ არ არსებობს არანაირი ობიექტური საფუძველი იმისა, რომ მოხდა გაუფასურება (მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელო) ინდივიდუალურად შეფასებულ ფინანსურ აქტივზე, ის აქტივს მიაკუთვნებს მსგავსი საკრედიტო რისკ-მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივების კომპანიას და გაუფასურების თვალსაზრისით ერთობლივად აფასებს მათ. ძირითადი ფაქტორები, რომელთა მიხედვითაც განსაზღვრავს, არის თუ არა ფინანსური აქტივი გაუფასურებული, არის მისი ვადაგადაცილების სტატუსი და შესაბამისი უზრუნველყოფის რეალიზებადობა, თუ ასეთი არსებობს. ქვემოთ მითითებული სხვა ძირითადი კრიტერიუმები ასევე გამოიყენება იმის განსაზღვრისთვის, არსებობს თუ არა ობიექტური საფუძველი იმისა, რომ მოხდა გაუფასურება:

- შესატანი დაგვიანებულია და დაგვიანებული გადახდა არ არის გამოწვეული ანგარიშსწორების სისტემებით გამოწვეული დაყოვნების გამო;
- მსესხებელი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, რაც დასტურდება მსესხებელის ფინანსური მდგომარეობის შესახებ კომპანიის მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან;
- მსესხებელი განიხილავს გაკოტრებას ან ფინანსურ რეორგანიზაციას;
- არსებობს უარყოფითი ცვლილება მსესხებლის გადახდის სტატუსში ადგილობრივი ეკონომიკური პირობების შედეგად, რომლებიც გავლენას ახდენენ მსესხებელზე; ან

განმარტებითი შენიშვნები

- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის გაუარესებული მდგომარეობის შედეგად.

გაუფასურების ერთობლივად შეფასების მიზნით, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივებად. ეს მახასიათებლები მოიცავს აქტივთა ჯგუფების მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების შეფასებას, რომელიც აჩვენებს მსესხებლების უნარს ყველა ვადადამდგარი თანხის დაფარვა განახორციელონ შეფასებული აქტივების სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად.

მომავალი ფულადი ნაკადები იმ ფინანსურ აქტივებში, რომელთა გაუფასურებაზე შეფასებაც ერთობლივად ხორციელდება, იანგარიშება ამ აქტივების სახელშეკრულებო პირობების შედეგად მისაღები ფულადი სახსრების და ხელმძღვანელობის წარსული გამოცდილების საფუძველზე გაკეთებული შეფასებით, ზარალის შემთხვევის შედეგად თუ რა ოდენობა სესხებისა მოხვდება ვადაგადაცილებაში და რამდენად წარმატებულად მოხდება ვადაგადაცილებული ოდენობის დაფარვა. წარსულის გამოცდილება კორექტირდება მიმდინარე დაკვირვებადი მონაცემების საფუძველზე იმ არსებული პირობების შედეგების ასახვის მიზნით, რომლებმაც გავლენა არ მოახდინა გასულ პერიოდებზე და წარსული პირობების იმ შედეგების გამოსარიცხად, რომლებიც ამჟამად არ არსებობს.

თუ ამორტიზირებული ღირებულებით ფლობილი გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები გადაიხედება ან სხვაგვარად შეიცვლება მსესხებლის ან ემიტენტის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება შეფასდება პირობების შეცვლამდე გამოყენებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების ზარალის აღიარება ყოველთვის ხორციელდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომლებშიც შედის მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგები, რომლებიც არ დამდგარა) მიმდინარე ღირებულებამდე ჩამოწერით, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის საანგარიშო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება ასახავს დასაკუთრებიდან მიღებულ ფულად ნაკადებს, მინუს უზრუნველყოფის მიღებისა და გაყიდვის ხარჯები, მიუხედავად იმისა დასაკუთრება მოსალოდნელია თუ არა.

თუ რომელიმე მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და შემცირება ობიექტურად დაკავშირებულია იმ შემთხვევასთან, რომელიც მოხდა გაუფასურების აღიარების შემდეგ (როგორცაა გაუმჯობესება დებიტორის საკრედიტო რეიტინგში), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი გაუქმდება რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, რომელიც ასახავს ჰპოვებს მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

ამოუღებელი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების ანარიცხის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება. ორგანიზაცია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (i) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის გადაცემა ან (ii) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და

განმარტებითი შენიშვნები

სარგებელი არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი შეუნარჩუნებია. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაკისრების გარეშე არადაკავშირებულ მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

მიღებული სესხები

სესხები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. სესხები აღირიცხება პერიოდის განმავლობაში განერული ხარჯის მიხედვით და მიეკუთვნება იმ პერიოდს როდესაც მოხდა ხარჯის განწევა.

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რაც განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად. ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს, ამოიწურება სახელშეკრულებო უფლება ფინანსური სარგებლის მიღების შესახებ ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხრეზე.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია ფინანსური აქტივების კლასიფიცირებას ახდენს შემდეგ კატეგორიებად:

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები მოგება ან ზარალში ასახვით (FVTPL). აქტივები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვაა (სავაჭრო აქტივები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც გამოიყენება ეფექტური პეჭირებისათვის) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად.

FVTPL ფინანსური აქტივების ხელახალი შეფასებისას წარმოქმნილი მოგება ან ზარალი მოიცავს ნებისმიერ დივიდენდს ან გამომუშავებულ საპროცენტო სარგებელს და აღიარდება მოგება-ზარალში.

განმარტებითი შენიშვნები

სესხები და მოთხოვნები. სესხები და მოთხოვნები არანარმოებული ფინანსური აქტივებია ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახდელებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ამ კატეგორიაში შეუძლებელია ისეთი აქტივების კლასიფიცირება, რომელთა გაყიდვასაც კომპანია დაუყოვნებლივ ან უახლოეს მომავალში გეგმავს. ეს აქტივები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (გარდა მოკლევადიანი მოთხოვნებისა, სადაც პროცენტი უმნიშვნელოა), რასაც გამოაკლდება გაუფასურებით ან უიმედო ვალად ცნობის შედეგად წარმოქმნილი ზარალი.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები. აღნიშნული აქტივები არის არანარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრული საზღაურით და ფიქსირებული დაფარვის ვადით, რომელთა ფლობის განზრახვა და უნარი კომპანიას ვალდებულების შესრულების ვადამდე აქვს. ამ კატეგორიაში დაუშვებელია იმ ფინანსური აქტივების კლასიფიცირება, რომლებსაც კომპანია თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრავს სამართლიანი ღირებულებით და ასახავს მოგება-ზარალში და აქტივებისა, რომლებიც აკმაყოფილებენ სესხებისა და მოთხოვნების განმარტებას. სესხებისა და მოთხოვნების მსგავსად, ეს აქტივები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რასაც გამოაკლდება გაუფასურებით ან უიმედო ვალად ცნობით წარმოქმნილი ზარალი.

გასაყიდად არსებული (AFS) ფინანსური აქტივები. ეს არანარმოებული ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებით მიეკუთვნება არსებულ ხელმისაწვდომ აქტივებს ან არ არის კლასიფიცირებული ზემოთ მითითებულ არც ერთ კატეგორიაში. ისინი აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. თუმცა, არაკოტირებული საფონდო ინსტრუმენტები აღირიცხება თვითღირებულებით, როდესაც შეუძლებელია მათი სამართლიანი ღირებულების ზუსტად შეფასება.

კურსთაშორისი სხვაობით მიღებული მოგებისა და ზარალის, საპროცენტო შემოსავლისა და დივიდენდების გარდა, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალში, ცვლილებები AFS ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და გროვდება გადაფასების რეზერვში, სანამ არ მოხდება ინვესტიციის გასხვისება ან გაუფასურებლად განსაზღვრა. ამ დროისთვის, გადაფასების რეზერვში უკვე დაგროვებული კუმულაციური მოგება/ზარალი რეკლასიფიცირდება მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებს (გარდა FVTPL ტიპის აქტივებისა) გაუფასურებაზე. კომპანია აფასებს ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის (აქტივთა ჯგუფის) თავდაპირველად მოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

გაუფასურების ობიექტური სამხილი შესაძლოა იყოს კონტრაგენტის ფინანსურ პრობლემები, ხელშეკრულების დარღვევა, მსესხებლის გაკოტრების ალბათობა, ფინანსური აქტივისთვის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური პრობლემების გამო, და სხვ.

AFS საფონდო ინსტრუმენტებისთვის, გაუფასურების ობიექტურ სამხილად ასევე ითვლება ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვანი ან ხანგრძლივი ვარდნა ფასის დონის ქვემოთ.

ამასთანავე, დებიტორული დავალიანების გაუფასურებას, რომელიც არ გაუფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია განსაზღვრავს კოლექტიურად, რომელიც დაფუძნებულია კომპანიის

განმარტებითი შენიშვნები

მიერ გადასახდელების მოკრების წარსულ გამოცდილებაზე, პორტფელში დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვ.

მხოლოდ გაცემულ სესხებისა და დებიტორული დავალიანებისთვის საბალანსო ღირებულება მცირდება საეჭვო ვალების რეზერვის გამოყენებით და იმ თანხების შემდგომი ამოღება, რომელთა ჩამოწმაც მოხდა, კრედიტდება საეჭვო ვალების რეზერვში. საეჭვო ვალების რეზერვის საბალანსო ღირებულების ცვლილება აღიარდება მოგება-ზარალში.

ყველა სხვა ფინანსური აქტივისთვის, საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალის ოდენობით.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარ მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან საეჭვო ვალების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკანდაბრუნების დღეს.

AFS სავალო ფასიანი ქაღალდებისთვის, იმ შემთხვევაში, თუ ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების ზრდა ობიექტურად ამყარებს გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარ მოვლენას, გაუფასურების ზარალი შემდგომ რევერსირდება მოგების ან ზარალის მეშვეობით. AFS წილობრივ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით კი, გაუფასურების ზარალის დადგომის შემდეგ სამართლიანი ღირებულების ზრდა აღიარდება სხვა სრულ შემოსავლებში და გროვდება გადაფასების რეზერვში; გაუფასურების ზარალი არ რევერსირდება მოგების ან ზარალის მეშვეობით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ბასს 39-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს „შინაარსის ფორმაზე აღმატებულების“ პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომლებიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება;
- კონტროლის გადაცემის შეფასება.

ის ფაქტი, სრულად მოხდება აქტივების აღიარება/აღიარების შეწყვეტა თუ აქტივები აღიარდება მხოლოდ კომპანიის შენარჩუნებული მოცულობის მიხედვით, დამოკიდებულია თითოეული ფაქტის დეტალურ ანალიზზე.

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს ორ კატეგორიად:

სამართლიანი ღირებულების აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL). ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც მათი ფლობის

განმარტებითი შენიშვნები

მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვა (სავაჭრო ვალდებულებები) ან ისინი წარმოდგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც განკუთვნილია ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტად) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად. მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალში.

სხვა ფინანსური ვალდებულებები. ყველა ვალდებულება, რომელიც არ გადანაწილდა წინა ჯგუფში ხვდება აღნიშნულ კატეგორიაში. ამგვარი ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

როგორც წესი, ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება კრედიტორული დავალიანება და მიღებული სესხები. ჩვეულებრივ, ამ კატეგორიაში მოხვედრილ ვალდებულებებზე არ ხდება გადაფასდება, ვინაიდან მათი სიზუსტე მაღალია, ხოლო დაფარვის ვადა - მოკლევადიანი.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საბალანსო შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კურსთაშორისის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი		
	დოლ	ევრ	ფუნტ
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.5922	3.1044	3.5005
გაცვლითი კურსი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.6468	2.7940	3.2579

განმარტებითი შენიშვნები

გაცვლითი კურსი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.3949	2.6169	3.5492
---	--------	--------	--------

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის მიხედვით.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება, ხოლო რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

კაპიტალი

კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილებით, რომელიც აღიარდება სამართლიანი ღირებულებით შეტანის მომენტისთვის.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად, მათი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც დამტკიცდება მათი განაწილება. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

განმარტებითი შენიშვნები

3 ფული და ფულის ექვივალენტი

	31-დეკ-17	31-დეკ-16	1-იან-16
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	-	-	404,225
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	7,086	29,854	15,859
ნაღდი ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში	77,766	238,212	49,215
ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	433,383	134,825	322,186
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	518,235	402,891	791,485

ფულის და ფულის ექვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში მოიცავს ფულად სახსრებს 6,065 ლარის ოდენობით რომელიც განთავსებულია „თიბისი“ ბანკში მიმდინარე ანგარიშზე რომელსაც ერიცხება 2%-იანი სარგებელი დღის ბოლოს არსებულ ნაშთზე. 2017 წლის განმავლობაში საპროცენტო შემოსავალი შეადგენს 1,047 ლარს.

ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში მოიცავს კომპანიის ცენტრალურ სალაროში არსებულ ფულად სახსრებსა და დისტრიბუტორების მიერ შეგროვებულ ფულად სახსრებს, რომელიც კომპანიამ გამოიმუშავა პროდუქციის მიწოდებით და რომელიც არ იყო განთავსებული საბანკო ანგარიშზე 2016 31 დეკემბრის მდგომარეობით 29,467 ლარის ოდენობით (2015: 5,701 ლარი).

სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა 2017 წლისთვის ფული და ფულის ექვივალენტებზე წარმოადგენდა 60,344 ლარს (2016: 33,543 ლარი; 2015: 31,712 ლარი)

4 მარაგები

	31-დეკ-17	31-დეკ-16	1-იან-16
შოკოლადი	3,247,599	2,698,302	1,117,832
ცხოველთა კვების პროდუქტები	502,826	263,593	279,311
თაროები	219,557	103,821	143,440
სანავაი	18,500	44,894	8,253
სხვა მარაგები	16,147	1,202	2,632
სულ მარაგები	4,004,629	3,111,812	1,551,468

კომპანიის მფლობელობაში არსებული მარაგები რომლებიც მოიცავს შოკოლადსა და ცხოველთა კვების პროდუქტებს გამოყენებულ იქნა „თიბისი ბანკის“-გან მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად. (იხ. შენიშვნა 11)

განმარტებითი შენიშვნები

5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-დეკ-17	31-დეკ-16	1-იან-16
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	7,145,884	6,403,217	3,659,683
სხვა	28,354	21,674	26,164
სულ დებიტორული დავალიანება	7,174,238	6,424,891	3,685,847

დებიტორული დავალიანებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის.

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან მოიცავს სს „გუდვილის“ მიმართ არსებულ სავაჭრო მოთხოვნას 265,143 (2016: 375,461 ლარი; 2015: 375,461 ლარი) ლარის ოდენობით იხ. შენიშვნა 12 და 23.

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან მოიცავს სხვადასხვა საცალო სარეალიზაციო ქსელზე (იურიდიული პირები) და სხვა სარეალიზაციო ობიექტებზე, ხელშეკრულებების ფარგლებში, მიწოდებული საქონლის დავალიანებებს. მათ შორის 10 უმსხვილესი საცალო რეალიზაციის ქსელის დავალიანება 2017 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 3,513,886 ლარს (2016 წლის 31 დეკემბერი 3,604,446 ლარი). მოთხოვნების გაშიფვრა ვადიანობის მიხედვით იხილეთ „ლიკვიდურობის რისკის ანალიზის“ განმარტებითი შენიშვნაში.

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან აგრეთვე მოიცავს პერიოდის განმავლობაში გამომუშავებულ და მიუღებელ შემოსავალთან დაკავშირებულ სავაჭრო მოთხოვნებს რომელთა გამომუშავებაც მოხდა წვრილ სავაჭრო ობიექტებზე პროდუქციის მიწოდების შედაგად დისტრიბუტორების საშუალებით და რომელთა შეგროვებაზე პასუხისმგებელნი არიან დისტრიბუტორები.

შპს. „მასტერ თრეიდი“

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართული ლარი

განმარტებითი შენიშვნები

6 ძირითადი საშუალებები

	ავეჯი და სხვა ინვენტარი	იჭ. აღებ. ქონ. აქტივები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირ. საშუალებები	სულ
ღირებულება							
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	18,065	3,410	36,538	63,564	756,987	80,636	959,200
შეძენა	8,019	14,853	13,737	40,586	95,674	19,175	192,044
გაყიდვა	-	(494)	-	-	(30,132)	(23,730)	(54,356)
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	26,084	17,769	50,275	104,150	822,529	76,081	1,096,888
შეძენა	51,277	4,889	33,348	31,355	19,936	12,595	153,400
გაყიდვა	-	-	-	(4,745)	(42,676)	(12,211)	(59,632)
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	77,361	22,658	83,623	130,760	799,789	76,465	1,190,656
ცვეთა და გაუფასურება							
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	10,944	512	12,467	30,396	339,379	47,831	441,528
ცვეთა წლის მანძილზე	3,037	2,600	10,287	14,151	140,146	20,341	190,562
ჩამოწერილი/გაყიდული აქტ. ცვეთა	-	(74)	-	-	(19,776)	(18,456)	(38,306)
2016 წლის 31 დეკემბრის	13,980	3,038	22,753	44,547	459,749	49,716	593,783
ცვეთა წლის მანძილზე	4,666	2,772	10,212	20,293	116,056	17,050	171,049
ჩამოწერილი/გაყიდული აქტ. ცვეთა	-	-	-	(3,093)	(42,676)	(12,069)	(57,838)
2017 წლის 31 დეკემბრის	18,646	5,810	32,965	61,747	533,129	54,699	706,994
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2016 წლის 1 იანვარი მდგომარეობით	7,122	2,898	24,071	33,168	417,608	32,804	517,672
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	12,103	14,731	27,522	59,604	362,780	26,365	503,105
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	58,714	16,848	50,659	69,013	266,660	21,769	483,662

განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის განმავლობაში სრულად ამორტიზირებული სატრანსპორტო საშუალებების ღირებულებამ შეადგინა 125,595 ლარი (2016: 119,967 ლარი), ავეჯი და სხვა ინვენტარის ღირებულება 12,125 ლარი (2016: 246 ლარი); ოფისის აღჭურვილობის ღირებულებამ 14,360 ლარი (2016: 1,809 ლარი; 2015: 19,871 ლარი) მანქანა-დანადგარების ღირებულებამ 5,432 ლარი და სხვა ძირითადი საშუალებების ღირებულებამ 7,981 (2016: 28,587 ლარი 2015: 21,246 ლარი)

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები საბალანსო ღირებულებით 476,247 ლარი და სრულად ამორტიზირებული სატრანსპორტო საშუალებები ისტორიული ღირებულებით 84,370 ლარი გამოყენებულ იქნა უზრუნველყოფად თიბისი ბანკის სესხის ასაღებად იხ. შენიშვნა N11. სრულად ამორტიზირებული სატრანსპორტო საშუალებების გადაფასება საკრედიტო მიზნებისთვის განხორციელდა ბანკის მიერ სესხის გაცემის მომენტში და შეფასებით ღირებულებად განისაზღვრა 33,270 ლარი.

7 არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა სხვა	სულ
ღირებულება		
ღირებულება 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	65,049	65,049
შეძენა	12,135	12,135
გაყიდვა	-	-
ჩამოწერა	-	-
ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	77,184	77,184
შეძენა	595	595
გაყიდვა	-	-
ჩამოწერა	-	-
ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	77,779	77,779
ამორტიზაცია და გაუფასურება		
დაგროვილი ამორტიზაცია 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	23,899	23,899
ამორტიზაცია წლის მანძილზე	6,436	6,436
ჩამოწერილი/გაყიდული აქტ. ამორტიზაცია	-	-
დაგროვილი ამორტიზაცია 2016 წლის 31 დეკემბრის	30,335	30,335
ამორტიზაცია წლის მანძილზე	7,662	7,662
ჩამოწერილი/გაყიდული აქტ. ამორტიზაცია	-	-
დაგროვილი ამორტიზაცია 2017 წლის 31 დეკემბრის	37,997	37,997
წმინდა საბალანსო ღირებულება		
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	41,150	41,150
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	46,848	46,848
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	39,781	39,781

კომპანიის არამატერიალური აქტივები მოიცავს საბუღალტრო პროგრამის „Oris“ ,სადისტრიბუციო პროგრამის „IBC“ (1C) და კომპიუტერული პროგრამის „Optamas“ ლიცენზიებს.

განმარტებითი შენიშვნები

8 სხვა აქტივები და წინასწარ გადახდილი ავანსები

	31-დეკ-17	31-დეკ-16	1-იანვ-16
წინასწარ გადახდილი ავანსები	122,076	41,559	125,565
მომხმარებლისთვის გადასაცემად მიღებული მარაგები	388,066	124,270	133,986
სულ სხვა აქტივები და წინასწარ გადახდილი ავანსები	510,142	165,829	259,551

ავანსად გადახდილი თანხები მოიცავს მარკეტინგული აქტივობებისათვის შეძენილი თაროების და სხვა ინვენტარის ღირებულებას.

2017 წლის განმავლობაში შპს „მასტერ თრეიდი“ სარეკლამო მიზნებისთვის კლიენტისთვის გადასაცემად უსასყიდლოდ მიიღო ბრენდირებული თაროები შპს „მარსის“-გან ღირებულებით 274,254 ლარი (2016: 141,841 ლარი; 2015: 79,159 ლარი). მხარეებს შორის გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულების თანახმად შპს „მასტერ თრეიდი“ ვალდებულია აღნიშნული ინვენტარი გადასცეს მომხმარებლებს უსასყიდლოდ. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე არსებული მარაგები მოიცავს მომწოდებლისგან უსასყიდლოდ მიღებულ მარაგებს რომელთა მიწოდება მომხმარებლებზე მოხდა 2018 წლის განმავლობაში.

კლიენტისთვის გადასაცემი მომწოდებლისგან მიღებული მარკეტინგული ინვენტარი აღიარებულია ფინანსურ ანგარიშგებაში საბაზრო ღირებულებით.

9 კაპიტალი

2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით მფლობელთა კაპიტალი შეადგენს 200 ლარს (2016:200 ლარი; 2015:200 ლარი), რომლის გადახდაც განხორციელდა 2007 წლის 8 აგვისტოს საბანკო გადარიცხვით.

2016 წლის განმავლობაში კომპანიამ გადაიხადა 2014 წელს გამოცხადებული დივიდენდი 41,053 ლარის ოდენობით, გარდა ამისა 2016 წელს კომპანიამ გამოაცხადა და გასცა 221,053 ლარის ოდენობის დივიდენდი.

10 მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა, საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები კორპორატიული მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ, (ცნობილი, როგორც კორპორატიული საგადასახადო სისტემის ესტონური მოდელი), რომლის მიხედვითაც, დაბეგვრის მომენტი არის შემოსავლის მიღებიდან მის განაწილებამდე. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო სისტემის ასეთი ცვლილების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა დღგ-სთან დაკავშირებით დაამტკიცა, საქართველოს საგადასახადო კოდექსში სხვა ცვლილებები. 2017 წლის 1 იანვრიდან, დღგ-ით დაბეგვრას დაექვემდებარა საქონლის ან მომსახურების შემძენისაგან მიღებული ავანსები.

განმარტებითი შენიშვნები

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98-ე მუხლის თანახმად, კომპანიამ გადაიხადა მოგების გადასახადი ღირებულებით 12,436 ლარი უსასყიდლოდ მიწოდებული სარეკლამო აღჭურვილობისთვის.

11 მიღებული სესხები

	31-დეკ-17	31-დეკ-16	1-დეკ-16
მოკლევადიანი სესხები	3,918,684	2,777,467	-
გრძელვადიანი სესხები	290,809	314,353	-
სულ მიღებული სესხები	4,209,493	3,091,820	-

2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ მიღებული მოკლევადიანი სესხები შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

მოკლევადიანი	დანყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	თანხა ლარში
თიბისი ბანკი 1723583-9122371	8/11/2017	8/11/2018	7%	დოლარი	1,322,569
თიბისი ბანკი 1723583-9122383	8/11/2017	8/11/2018	7%	დოლარი	906,894
თიბისი ბანკი 1723583-9254855	10/12/2017	2/12/2018	8%	დოლარი	189,221
საქ. ბანკი # 4931185	10/31/2017	5/1/2018	10%	ლარი	1,500,000
სულ მოკლევადიანი სესხი					3,918,684
გადასახდელი ძირი					3,918,684
გადასახდელი პროცენტი					-
სულ მოკლევადიანი სესხი					3,918,684

2016 წლის დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ მიღებული მოკლევადიანი სესხები შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

მოკლევადიანი	დანყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	თანხა ლარში
TBC Bank 3 1723583-8466837	7/29/2016	8/9/2017	8%	დოლ	1,454,067
TBC Bank # 1723583-8664489	12/9/2016	3/1/2017	8%	დოლ	1,323,400

შპს. „მასტერ თრეიდი“

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართული ლარი

განმარტებითი შენიშვნები

სულ მოკლევადიანი სესხი	2,777,467
გადასახდელი ძირი	2,777,467
გადასახდელი პროცენტი	-
სულ მოკლევადიანი სესხი	2,777,467

2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ მიღებული გრძელვადიანი სესხები შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

გრძელვადიანი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	თანხა ლარში
ფიზ. პირი 1	5/15/2016	5/15/2019	0%	ლარ	259,220
ფიზ. პირი 2	2/1/2017	2/1/2020	12%	დოლ	44
ფიზ. პირი 3	8/1/2017	8/1/2020	11%	დოლ	31,545
სულ გრძელვადიანი სესხი					290,809
გადასახდელი ძირი					259,220
გადასახდელი პროცენტი					31,589
სულ გრძელვადიანი სესხი					290,809

2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ მიღებული გრძელვადიანი სესხები შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

გრძელვადიანი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	თანხა ლარში
ფიზ. პირი 1	5/15/2016	5/15/2018	0%	დოლ	17,647
ფიზ. პირი 4	5/1/2016	1/5/2019	13%	ლარ	32,026
ფიზ. პირი 5	12/1/2016	12/1/2019	13%	დოლ	264,680
სულ გრძელვადიანი სესხი					314,353
გადასახდელი ძირი					296,706
გადასახდელი პროცენტი					17,647
სულ გრძელვადიანი სესხი					314,353

განმარტებითი შენიშვნები

თიბისი ბანკისგან N1723583-9122371 მიღებული სესხი წარმოადგენს საკრედიტო ხაზს, საკრედიტო ხაზი მოქმედებს 2018 წლის 11 აგვისტომდე, 2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ვალდებულებამ შეადგინა 1,322,569 ლარი რომელიც დაიფარა 2018 წლის იანვარში. იხ. შენიშვნა 23. დარიცხული პროცენტის ღირებულებამ შეადგინა 2017 წლის განმავლობაში 32,932 ლარი, რომელიც გადახდილი არის პერიოდის განმავლობაში. სესხის ძირითადი თანხის დაფარვა უნდა მოხდეს საკრედიტო ხაზის მოქმედების ვადის ამოწურვამდე.

თიბისი ბანკისგან N 1723583-9122383 მიღებული სესხი წარმოადგენს საკრედიტო ხაზს, საკრედიტო ხაზი მოქმედებს 2018 წლის 11 აგვისტომდე, 2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ვალდებულებამ შეადგინა 906,894 ლარი რომელიც დაიფარა 2018 წლის იანვარში. იხ. შენიშვნა 23. დარიცხული პროცენტის ღირებულებამ შეადგინა 2017 წლის განმავლობაში 19,370 ლარი, რომელიც გადახდილი არის პერიოდის განმავლობაში. სესხის ძირითადი თანხის დაფარვა უნდა მოხდეს საკრედიტო ხაზის მოქმედების ვადის ამოწურვამდე.

თიბისი ბანკისგან N 1723583-9254855 მიღებული სესხი წარმოადგენს საკრედიტო ხაზს, საკრედიტო ხაზი მოქმედებს 2018 წლის 2 დეკემბრამდე, 2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ვალდებულებამ შეადგინა 189,221 ლარი რომელიც დაიფარა 2018 წლის იანვარში. იხ. შენიშვნა 23. დარიცხული პროცენტის ღირებულებამ შეადგინა 2017 წლის განმავლობაში 27,592 ლარი, რომელიც გადახდილი არის აღნიშნული პერიოდის განმავლობაში. სესხის ძირითადი თანხის დაფარვა უნდა მოხდეს საკრედიტო ხაზის მოქმედების ვადის ამოწურვამდე.

გემოთ ხსენებული თიბისი ბანკის საკრედიტო ხაზი უზრუნველყოფილია საქონლით - შოკოლადით და ცხოველთა საკვებით, 2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით საბოლოო ნაშთმა შეადგინა 3,750,425 ლარი და ასევე სატრანსპორტო საშუალებებით, რომლის საბალანსო ღირებულებამ 2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 266,660 ლარი.

თიბისი ბანკთან გაფორმებული გემოთ აღნიშნული ხელშეკრულების შესაბამისად სესხი უზრუნველყოფილია შპს. „მასტერ თრეიდის“ მარაგებში არსებული შოკოლადისა და ცხოველთა კვების პროდუქტებით რომლის ღირებულებამ 2017 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგინა 3,750,425 ლარი და სატრანსპორტო საშუალებებით საბალანსო ღირებულებით 266,660 ლარი.

თიბისი ბანკთან გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების მიხედვით სახელშეკრულებო ვადის ამოწურვამდე შპს „მასტერ თრეიდი“ უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი პირობები:

- მთლიანი ვალდებულებები არ უნდა აღემატებოდეს EBITDA-ს 300%-ს
- სესხის მომსახურების კოეფიციენტი უნდა შენარჩუნდეს DSCR მინიმუმ 1.3 ნიშნულზე
- ICR კოეფიციენტი არ უნდა აღემატებოდეს 3.0 დონეს

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს დარღვეული არცერთი პირობა.

საქართველოს ბანკისგან N 4931185 მიღებული სესხი წარმოადგენს საკრედიტო ხაზს, საკრედიტო ხაზი მოქმედებს 2018 წლის 5 იანვრამდე, 2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ვალდებულების ღირებულებამ შეადგინა 1,500,000 ლარი რომელიც დაიფარა 2018 წლის ივნისში. დარიცხული პროცენტის ღირებულებამ შეადგინა 2017 წლის განმავლობაში 21,576 ლარი, რომელიც გადახდილი არის აღნიშნული პერიოდის განმავლობაში.

განმარტებითი შენიშვნები

კომპანიამ დამფუძნებლისგან მიიღო სესხი 0%-იანი საპროცენტო განაკვეთით. პერიოდის ბოლოს ძირითადი თანხის ვალდებულებამ შეადგინა 17,647 ლარი, სესხი დაიფარა 2018 წლის მარტში.

კომპანიამ მიიღო სესხი თანამშრომლისგან, რომლის საპროცენტო ვალდებულებამ შეადგინა 31,545 ლარი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. პროცენტი დაიფარა 2018 წლის ივნისში იხ. შენიშვნა 23.

2017 წლის განმავლობაში კურსთაშორის სხვაობის გავლენამ მიღებულ სესხებზე შეადგინა 73,303 ლარი (2016: 287,577 ლარი, 2015: 224,093 ლარი)

12 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-17	31-დეკ-16	1-იანვ-16
სავაჭრო ვალდებულებები	765,688	633,982	2,066,723
სახელმწიფო ბიუჯეტისთვის გადასახდელი ვალდებულება	401,949	994,339	33,771
ვალდებულება თანამშრომლების მიმართ	-	250	39,053
მომხმარებლისთვის გადასაცემად მიღებული მარაგები	388,066	124,270	133,987
სხვა ვალდებულებები	24,795	22,855	12,244
სულ კრედიტორული დავალიანება	1,580,498	1,775,696	2,285,778

კრედიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის.

სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს ვალდებულებებს რომლებიც წარმოიქმნა ხარჯის გაწევის შედეგად რომლის გადახდა არ მომხდარა პერიოდის განმავლობაში.

2017 წლის 31 დეკემბრისთვის სავაჭრო ვალდებულების ნაშთი მოიცავს ვალდებულებას სს „გუდვილის“ მიმართ 265,143 ლარის ოდენობით. იხ. შენიშვნა 5 და 23.

მომხმარებლისთვის გადასაცემად მიღებული მარაგები მოიცავს პერიოდის განმავლობაში სარეკლამო მიზნებისთვის კლიენტისთვის გადასაცემად უსასყიდლოდ მიღებული თაროების ღირებულებას რომლის გადაცემაც არ მოხდა პერიოდის დასრულებამდე. იხ. შენიშვნა 8.

ვალდებულებები ვალუტის მიხედვით იხილეთ შენიშვნა N20-ში.

სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არსებული ვალდებულება მოიცავს დღგ-ს.

სავალუტო კურსთაშორის სხვაობით გამოწვეულმა ცვლილებამ სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში 2017 წლის განმავლობაში შეადგინა 114,216 ლარი (2016: 597,047 ლარი; 2015: 152,107 ლარი).

განმარტებითი შენიშვნები

13 შემოსავალი

	2017	2016
შოკოლადის რეალიზაცია	30,898,639	26,594,990
ცხოველთა საკვების რეალიზაცია	4,634,121	3,865,891
უსასყიდლოდ გადაცემული საქონელი	18,960	14,999
სულ შემოსავალი	35,551,720	30,475,880

14 ფასდათმობა და უკან დაბრუნება

2017 წლის განმავლობაში უკან დაბრუნებული პროდუქციის ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 918,744 ლარი (2016: 492,767).

15 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2017	2016
შოკოლადი	24,339,677	21,169,688
ცხოველების საკვები	3,650,420	3,077,260
შეძენილი საქონ. უკან დაბრ. და ფასდათმობა	(717,010)	(385,472)
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	27,273,087	23,861,476

2017 წლის განმავლობაში უკან დაბრუნებული პროდუქციის თვითღირებულებამ შეადგინა 717,010 ლარი (2016:385,472) იხ. შენიშვნა 14.

16 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2017	2016
ხელფასები	2,855,888	2,184,611
მარკეტინგული ხარჯები	1,559,471	744,643
საწვავი	530,113	329,159
იჯარა	229,818	157,844
ცვეთა და ამორტიზაცია	178,711	196,998
რემონტის და შეკეთების ხარჯი	122,499	83,023
უიმედო ვალები	110,318	348,397
სატრანსპორტო მომსახურება	88,204	69,401
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული ხარჯი	63,054	34,833
ბონუსები	44,220	34,913
ბანკის საკომისიო	36,533	27,783
დაზღვევა ავტომობილების და ქონების	33,197	31,188
კომუნალური ხარჯი	32,327	29,103

განმარტებითი შენიშვნები

სხვა საგადასახადო ხარჯი	30,593	61,028
საკანცელარიო ხარჯი	13,711	12,640
მივლინების ხარჯი	6,871	6,025
სხვა ხარჯი	64,594	61,912
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6,000,122	4,413,501

საკონსულტაციო და სხვა პროფესიული ხარჯი მოიცავს აუდიტის ხარჯს 29,000 ლარის ოდენობით.

2017 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ უიმედოდ აღიარებული ვალები მოიცავს 110,318 ლარის ოდენობის მოთხოვნებს, 2013 წელს სს „გუდვილმა“ დაიწყო საქმის წარმოება გადახდისუუნარობის შესახებ, მენეჯმენტის გადაწყვეტილებით წმინდა სხვაობა მოთხოვნებსა და ვალდებულებებს შორის აღირიცხა როგორც საექვო ვალი 2017 წელს. იხ. შენიშვნა 5, 12 და 23.

17 წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი

	2017	2016
ძირითადი საშუალების რეალიზაცია	18,397	7,424
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	20,684	2,034
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(8,513)	(25,237)
სულ წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	30,568	(15,779)

18 უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან მიღებული წმინდა ზარალი

	2017	2016
კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება	845,853	940,121
ფული და ფულის ექვივალენტები	15,907	36,800
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	350,952	703,091
მიღებული სესხები	478,994	200,230
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	(865,284)	(664,161)
ფული და ფულის ექვივალენტები	(76,250)	(70,343)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(236,736)	(106,044)
მიღებული სესხები	(552,298)	(487,774)
სულ	(19,431)	275,960

იქედან გამომდინარე რომ კომპანიის საქმიანობა უკავშირდება საზღვარგარეთ არსებულ მომწოდებელს, სავალუტო კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული შემოსავალი და ხარჯები წარმოიშვა საქონლის შეძენის ოპერაციებიდან.

განმარტებითი შენიშვნები

19 პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო იჯარის ვალდებულებები - კომპანია, როგორც მოიჯარე

საოპერაციო საქმიანობის საწარმოებლად კომპანია ქირაობს როგორც საოფისე ასევე სასაწყობე ფართს.

2017 წლის იანვარში შპს „მასტერ თრეიდა“ და შპს "გლობალ ტექნოლოგიებს" შორის გაფორმდა საოპერაციო იჯარის ხელშეკრულება, სადაც შპს "მასტერ თრეიდი" წარმოდგენილია, როგორც - მოიჯარე. აღნიშნული ხელშეკრულებით, კომპანიამ იჯარით აიღო თბილისში მდებარე საოფისე ფართი, სადაც იგი ამჟამად ახორციელებს თავის ძირითად საოპერაციო საქმიანობას. შეთანხმების შესაბამისად ხელშეკრულება მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით. წლიური გადასახადი შეადგენს 19,392 ლარს.

2017 წლის იანვარში შპს „მასტერ თრეიდა“ და ფიზიკურ პირს შორის გაფორმდა საოპერაციო იჯარის ხელშეკრულება, სადაც შპს "მასტერ თრეიდი" წარმოდგენილია, როგორც - მოიჯარე. აღნიშნული ხელშეკრულებით, კომპანიამ იჯარით აიღო ქუთაისში მდებარე საოფისე ფართი, სადაც იგი ამჟამად ახორციელებს საოპერაციო საქმიანობას. შეთანხმების შესაბამისად ხელშეკრულება მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით. წლიური გადასახადი შეადგენს 2,790 ლარს.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საოფისე ფართების სავარაუდო მინიმალური საიჯარო გადასახადი, რომელიც კომპანიამ ერთი წლის განმავლობაში უნდა გადაიხადოს შეადგენს 28,353 ლარს. საოფისე ფართების საოპერაციო საიჯარო გადასახადი აღიარებულია ხარჯებში და შეადგენს 22,152 ლარს.

გარდა საოფისე ფართისა შპს. „მასტერ თრეიდი“ საოპერაციო საქმიანობისთვის ქირაობს სასაწყობე ფართებს, ქვეყნის მასშტაბით.

ხელშეკრულების თანახმად ჯამური წლიური საიჯარო ქირა სასაწყობე ფართებისთვის შეადგენს 240,626 ლარს. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საწყობების სავარაუდო მინიმალური საიჯარო ქირა რომელიც კომპანიამ ერთი წლის განმავლობაში უნდა გადაიხადოს შეადგენს 115,703 ლარს. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში სასაწყობე საოპერაციო საიჯარო გადასახადი აღიარებულია ხარჯებში და შეადგენს 174,263 ლარს.

20 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: დანაკარგის ალბათობა იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს.
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი

განმარტებითი შენიშვნები

ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:

- საპროცენტო რისკი
- სავალუტო რისკი

კომპანიის ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით.

კომპანიის შედარებით მარტივი ოპერაციების გამო, არ არის რისკების საერთო მართვის თაობაზე წინასწარ დადგენილი პოლიტიკა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

	31-დეკ-17	31-დეკ-16	1-იან-16
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	518,235	402,891	791,485
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,174,238	6,424,891	3,685,847
სულ ფინანსური აქტივები	7,692,473	6,827,782	4,477,332
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,192,432	1,651,426	2,151,791
მიღებული სესხები	4,209,493	3,091,820	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	5,401,925	4,743,246	2,151,791

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი გვიჩვენებს სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს სამართლიანი ღირებულების წარმოდგენილი 1-დან 3-მდე იერარქიის დონის მიხედვით:

	სამართლიანი ღირებულებები საანგარიშო პერიოდის ბოლოს:		
	დონე 1	დონე 2	დონე 3
აქტივები გამოსახული სამართლიანი ღირებულებით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
ფული და ფულის ექვივალენტები	518,235	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	7,174,238
სულ	518,235		7,174,238
აქტივები გამოსახული სამართლიანი ღირებულებით 2016			
ფული და ფულის ექვივალენტები	402,891	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	6,424,891
სულ	402,891		6,424,891
აქტივები გამოსახული სამართლიანი ღირებულებით 2015			
ფული და ფულის ექვივალენტები	791,485	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	3,685,847
სულ	791,485		3,685,847

განმარტებითი შენიშვნები

საკრედიტო რისკი

კომპანია საკრედიტო რისკს აკონტროლებს ინდივიდუალურ მომხმარებლებზე ლიმიტების დაწესებით, რომლის დროსაც გამოიყენება სხვადასხვა სააგენტოების ინფორმაცია, მომხმარებლის საცხოვრებელი ქვეყნის მიხედვით. კომპანიას შემუშავებული აქვს კრედიტუნარიან კლიენტებთან საქმის წარმოების პოლიტიკა.

არ შეინიშნება საკრედიტო რისკების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	31-დეკ-17	31-დეკ-16	1-იანვ-16
ფული და ფულის ექვივალენტები	518,235	402,891	791,485
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,174,238	6,424,891	3,685,847

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

კომპანია ლიკვიდურობის რისკს მართავს მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით რეგულარული მონიტორინგის საშუალებით.

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წლამდე	1 – 3 წლამდე	3- 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	518,235	-	-	518,235
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,643,039	266,056	265,143	7,174,238
სულ ფინანსური აქტივები	7,161,274	266,056	265,143	7,692,473
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,315,355	336,071	-	1,651,426
მიღებული სესხები	3,918,684	290,809	-	4,209,493
სულ ფინანსური ვალდებულებები	5,234,039	626,880	-	5,860,919
ლიკვიდურობის პოზიცია	1,927,235	(360,824)	265,143	1,831,554

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წლამდე	1 – 3 წლამდე	3- 5 წლამდე	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	402,891	-	-	402,891
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,042,064	7,366	375,461	6,424,891
სულ ფინანსური აქტივები	6,444,955	7,366	375,461	6,827,782
ფინანსური ვალდებულებები				

განმარტებითი შენიშვნები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,510,553	140,873	-	1,651,426
მიღებული სესხები	2,777,467	314,353	-	3,091,820
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,288,020	445,226	-	4,743,246
ლიკვიდურობის პოზიცია	2,156,935	(437,860)	375,461	2,094,536

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

	1 წლამდე	1 – 3 წლამდე	3- 5 წლამდე	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	791,485	-	-	791,485
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,310,178	375,669	-	3,685,847
სულ ფინანსური აქტივები	4,101,663	375,669	-	4,477,332
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,151,791	-	-	2,151,791
მიღებული სესხები	-	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,151,791	-	-	2,151,791
ლიკვიდურობის პოზიცია	1,949,872	375,669	-	2,325,541

სესხები მოიცავს ბანკებისგან მიღებულ საკრედიტო ხაზის ფარგლებში მიღებულ თანხებსა და მათზე დარიცხულ პროცენტებს.

საპროცენტო რისკი

კომპანიას საპროცენტო რისკის საფრთხე ემუქრება მხოლოდ იმ ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში, რომლებზეც მოქმედებს ფიქსირებული განაკვეთი. კომპანიას არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხი.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები (საბანკო ბალანსები, დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები და დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებები (გადასახდებლები) იწვევენ სავალუტო რისკს. რომელიც გულისხმობს უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკს.

ფინანსური აქტივები ვალუტის მიხედვით

ფინანსური აქტივები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტებს მიხედვით:

	ფული და ფულის ექვივალენტები	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სულ
ლარი	440,469	7,174,238	7,614,707
აშშ დოლარი	77,766	-	77,766
სულ	518,235	7,174,238	7,692,473

შპს. „მასტერ თრეიდი“

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართული ლარი

განმარტებითი შენიშვნები

ფინანსური აქტივები 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტებს მიხედვით:

	ფული და ფულის ექვივალენტები	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სულ
ლარი	164,679	6,424,891	6,589,570
აშშ დოლარი	238,212	-	238,212
სულ	402,891	6,424,891	6,827,782

ფინანსური აქტივები 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტებს მიხედვით:

	ფული და ფულის ექვივალენტები	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სულ
ლარი	338,045	3,685,847	4,023,892
აშშ დოლარი	453,440	-	453,440
სულ	791,485	3,685,847	4,477,332

ფინანსური ვალდებულებები ვალუტის მიხედვით

ქვემოთ მოცემულ ცხრილში გაანალიზებულია ფინანსური ვალდებულებები ვალუტების მიხედვით:

	31-დეკ-17	31-დეკ-16	1-იანვ-16
ლარი	636,347	875,738	476,531
აშშ დოლარი	482,077	728,550	7,850
რუბლი	74,008	47,138	1,667,410
სულ	1,192,432	1,651,426	2,151,791

ლარის გაცვლითი კურსის სავარაუდო 10%-იანი გამყარება/გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ შემცირების/გაზრდის ეფექტმა 2017 წლისათვის შეადგინა 141,792 ლარი (2016:168,415; 2015:169,143).

ლარის გაცვლითი კურსის სავარაუდო 10%-იანი გამყარება/გაუფასურება რუბლის მიმართ შემცირების/გაზრდის ეფექტმა 2017 წლისათვის შეადგინა 14,972 (2016: 9,965; 2015: 463,215) ლარი.

განმარტებითი შენიშვნები

21 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ტრანზაქციები	31-დეკ-17	31-დეკ-16	1-იანვ-16
საპროცენტო ხარჯი	13,898	17,647	-

ზემოთ აღნიშნული ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებულ იქნა სხვა ტრანზაქციების მსგავსი პირობებით.

ბალანსი	31-დეკ-17	31-დეკ-16	1-იანვ-16
სავაჭრო მოთხოვნები	9,640	20,260	38,009
სესხები	290,809	314,353	-
სავაჭრო ვალდებულებები	18,016	-	-

ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება შემდეგია:

ხელფასები და ბონუსები	2017	2016	2015
ხელფასები და ბონუსები	118,310	156,150	103,875

22 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლა

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები არის პირველი, რომელიც მან ფასს-ების სრული დაცვით მოამზადა. კომპანიის საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადდა 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც არის კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის თარიღი.

2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის შედეგად მატერიალური კორექტირებები არ განხორციელებულა.

23 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2018 წლის 16 მაისს, კომპანიამ თიბისი ბანკთან ხელი მოაწერა საკრედიტო ხაზის სასესხო ხელშეკრულებას, მაქსიმალური ლიმიტით 5 მლნ. საპროცენტო განაკვეთი საკრედიტო აღნიშნული ხაზისთვის განისაზღვრა 7%-ით, ხოლო პროცენტის გადახდის დრო ხელშეკრულების გასვლის თარიღით. კომპანიამ საანგარიშგებო პერიოდსა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წარდგენის თარიღს შორის არსებულ პერიოდში მიიღო 5,665,210 ლარის კრედიტი, ამავე პერიოდის განმავლობაში დაფარა ძირითადი თანხა 4,316,830 ლარი. ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად კომპანიის მიერ გამოყენებულ იქნა სატრანსპორტო საშუალებები.

განმარტებითი შენიშვნები

გარდა ზემოთ აღნიშნულისა 2018 წლის 27 ივნისს კომპანიამ თიბისი ბანკთან გააფორმა ხელშეკრულება საკრედიტო ხაზის გახსნის შესახებ რომლის მიხედვითაც მაქსიმალური ლიმიტი განისაზღვრა 2,000,000 ამერიკული დოლარით, ხელშეკრულების თანახმად საკრედიტო ხაზი მოქმედებს 2018 წლის 26 აგვისტომდე. საპროცენტო განაკვეთი ხელშეკრულების შესაბამისად შეადგენს 10.5%-ს. განაკვეთის ყოველთვიურ ინდექსირებას ახორციელებს ეროვნული ბანკი, დადგენილი საპროცენტო განაკვეთების შესაბამისად. კრედიტის ძირითადი თანხა და პროცენტის გადახდა შესაძლებელია ხელშეკრულების მოქმედების ამოწურვამდე. საანგარიშგებო პერიოდსა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წარდგენის თარიღს შორის არსებულ პერიოდში კომპანიამ დაფარა კრედიტი 2,000,000 ლარის ოდენობით.

კომპანიამ საანგარიშგებო პერიოდსა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წარდგენის თარიღს შორის არსებულ პერიოდში, 2017 წლის ბოლოსთვის თიბისი ბანკში არსებული საკრედიტო ხაზითან გამოიყენა კრედიტი 3,699,458 ლარის ოდენობით, პერიოდის განმავლობაშივე მოხდა სესხის ძირის დაფარვა 2,841,399 ლარის ოდენობით.

2013 წელს 25 სექტემბერს სს „გუდვილი“-ს მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში დაიწყო საქმის წარმოება კომპანიის გადახდისუნარობის შესახებ; გადახდისუნარობის წარმოების დაწყებისას შპს „მასტერ თრეიდი“ სასამართლოს მიერ აღიარებული იქნა გუდვილის კრედიტორად ხოლო მოთხოვნად დაფიქსირდა 375,461 ლარი. სასამართლოს მიერ დამტკიცებული რეაბილიტაციის გეგმის მიხედვით სს „გუდვილმა“ კომპანიის მიმართ არსებული დავალიანება უნდა დაფაროს 2018 წლის პირველი კვარტალიდან 2022 წლის პირველ კვარტალის ჩათვლით. ყოველკვარტალური გადახდები შეადგენს მოთხოვნის 6%-ს.

სს „გუდვილს“ გააჩნია საპასუხო მოთხოვნა შპს. „მასტერ თრეიდის“ მიმართ 265,143 ლარის ოდენობით, აღნიშნული მოთხოვნის დაფარვის შესახებ გუდვილმა 2017 წელს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, სასამართლოს საქმის განხილვა მხარეთა მორიგების მოტივით გადაიდო, სასამართლოს მორიგი სხდომა დანიშნულია 2018 წლის 8 ოქტომბერს.